საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-
ვითი სიტყვაა, ფულიერობით და ჭორებით ბრ-
თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 20 ივნისი. 2017 წ. №122 (8259), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაციონალების სიმსივნურ ტვინში ათასი უბედური აზრი ჩნდება

ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს ჯანმრთელობა

③

უვიზო რეჟიმი არავითარი საჩუქარი არ არის, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა!

⑤

◉ დღის ამოჭრაზურიდან

— მართალია, ამ მდედრ ნაციონალ სალომე სამადაშვილს ცხვირი არა აქვს, მაგრამ მაინც წარმატებით ახერხებს აშკარად მტრული ოპოზიციური უცხვირპირობის ანტისახელისუფლებო პოლიტიკაში მყისიერად ჩაყოფას...

კრივოი როგში მიშა გაამწვანეს

ოდესის ყოფილ გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს კვერცხები ესროლეს და ბრილიანტის მწვანე შეასხეს. ამის შესახებ ინტერნეტ-პორტალი dnepr 24 იტყობინება. ინციდენტი კრივოი როგში მოხდა, სადაც სააკაშვილი ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა. მას შემდეგ, რაც ყოფილმა გუბერნატორმა კიევში დაღუპული დემონსტრანტებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგო, ადგილობრივებს სიტყვით მიმართა. მოულოდნელად მას უცნობმა ახალგაზრდამ კვერცხები და ბრილიანტის მწვანის პაკეტები დაუშინა. სამართალდამცველებმა ის ადგილზე დააკავეს.



პატრიარქის წინადადება ხალხმა უნდა განსაჯოს!

ბატონიშვილი გიორგი სამეფო გვირგვინს ელოდება

სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კიდევ ერთხელ (ადრეც უთქვამს) განაცხადა, რომ საქართველოსთვის ხელისუფლების საუკეთესო მოდელი იქნება კონსტიტუციური მონარქია. ის ქვეყანას სიმშვიდეს მოუტანს!..

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრების შეხვედრა პატრიარქთან. თუმცა ჯერჯერობით არც დეპუტატებს და არც საპატრიარქოს წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებიათ. შეხვედრა კონსტიტუციური მონარქიის საკითხს ეხებოდა.

გუშინვე გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ აღნიშნა: „რაც ბრძანა უწმინდესმა, არის ჭეშმარიტება — ის, რომ მონარქიას პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოაქვს სიმშვიდე“.

ისეთი რანგის პოლიტიკოსები, როგორიც ირაკლი კობახიძეა, ასეთ განცხადებებს უმიზნოდ არ აკეთებენ. იქნებ მართლაც დადგა დრო ვიფიქროთ, რომ საქართველო კვლავ დაადგეს იმ გზას, რომელსაც ის, სხვათა ძალდატანებით, ასცდა ორი საუკუნის წინათ.

ცნობისთვის: დღეს საქართველოს სამეფო სახლის მეთაურია ბატონიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი, ქართველ მეფეთა პირდაპირი მემკვიდრე.

ქართველმა მკვლევარებმა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად, საბოლოოდ დაადგინეს, თუ რომელს ეკუთვნოდა უპირატესობა ბაგრატიონთა სამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის) შტოს შორის. დასკვნა ერთადერთია: XVI საუკუნეში ერთიანი საქართველო რომ არ დაშლილიყო, მის მართვას გააგრძელებდნენ ერთიანი საქართველოს ბოლო მეფის გიორგი VIII-ის მემკვიდრეები.

მემკვიდრეობის ეს ხაზი კი ასეთია: გიორგი VIII (შემდეგ კახეთის მეფე გიორგი I), ალექსანდრე I, გიორგი II, ლევან I, ალექსანდრე II, დავით I, თეიმურაზ I, დავით ბატონიშვილი, ერეკლე I, თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII, უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე ბაგრატის ძე, ბატონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე, ბატონიშვილი პეტრე პეტრეს ძე (ჩვენი ცნობილი პოეტი), ბატონიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე (დაიბადა 1950 წ.), ბატონიშვილი ანა ნუგზარის ასული (დაიბადა 1976 წ.).

ბატონიშვილი ნუგზარი საქართველოს სამეფო სახლის მეთაურად და ტახტის მემკვიდრედ 2006 წლის მემორანდუმით აღიარეს „ბაგრატოვანთა სახლმა“ (წინამძღოლი ნინო ბაგრატიონი-იმერეტინსკი“ და უსაჩინოეს ისტორიკოსთა ჯგუფმა (აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი და სხვ.). მემორანდუმს შეუერთდა ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს 59 და აზნაურული შტოს 67 წარმომადგენელი.

ბატონიშვილი ანა და მისი ვაჟი გიორგი

ბატონიშვილ ნუგზარს ორი ქალიშვილი ჰყავს, ბაგრატიონთა დინასტიური სამართლის სპეციფიკური წესით, რომელიც მხოლოდ სამეფო ოჯახზე ვრცელდება, როცა ტახტის მემკვიდრე ქალია, იგი არა მარტო მეფობის უფლებას იღებს, არამედ გვარსაც აგრძელებს, როგორც ეს თამარისა და რუსუდანის შემთხვევაში მოხდა (ნიშანდობლივია, რომ მატიანეში გიორგი IV ლაშა თამარის ძედ, ხოლო დავით ნარინი რუსუდანის ძედ იხსენიებიან).

ქართულ დინასტიურ სამართალზე დაყრდნობით, სამეფო სახლის მეთაურმა ბატონიშვილმა ნუგზარმა 2009 წელს გამოსცა დეკრეტი, რითიც საქართველოს სამეფო ტახტზე მომავალ მემკვიდრედ უფროსი ქალიშვილი — ბატონიშვილი ანა გამოაცხადა.

ბატონიშვილი ანა 2009 წელს ცოლად გაჰყვა ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონ-მუხრანელთა შტოს წარმომადგენელს დავით ბაგრატიონი-მუხრანელს (ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა), 2011 წელს დაიბადა ბატონიშვილი გიორგი, რომელიც სრულწლოვანებისას მიიღებს დედის გვარს და სამეფო ღირსებას.

ამდენად, საქართველოს სამეფო ტახტს ჰყავს მემკვიდრე — ბატონიშვილი ნუგზარი, მისი თანამოსაყდრე იქნება ბატონიშვილი ანა და ბოლოს — ბატონიშვილი გიორგი ბაგრატიონი-გრუზინსკი.

ამრიგად, 1200-წლოვანი ბაგრატიონთა სამეფო გვარი თავისი ისტორიის გაგრძელებას ელის.

ალეკო ასლანიშვილი

დღის წესრიგშია ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსი

პრემიერმა და TUM INTERNATIONAL-ის მმართველმა დირექტორმა ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის განვითარების გეგმაზე იმსჯელეს

ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის აკადემიური განვითარების გეგმას, აკადემიურ და კვლევით პროგრამებს, მმართველობითი სტრუქტურებისა და განვითარების გეგმას მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (TUM) სპეციალისტები ქართულ მხარესთან ერთად შეიმუშავებენ, — თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის დაფუძნებული ორგანიზაცია TUM International-ის მმართველმა დირექტორმა დანიელ გოტშალდმა დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრეს.

სასწავლო და კვლევითი პროგრამების შემუშავებისას, ასევე უნივერსიტეტის მართვისა და სამეცნიერო თუ ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცესში, გამოყენებული იქნება მიუნხენის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სტანდარტები.

მიუნხენის უნივერსიტეტის სპეციალისტები ქართველ არქიტექტორებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოების პროცესშიც გაუწევენ კონსულტაციებს.

დეტალები გაწერილია თანამშრომლობის შეთანხმებაში, რომელიც გუშინ მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის დაფუძნებულ ორგანიზაცია TUM International-სა და აიპ „ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსს“ შორის გაფორმდა. პროექტის დაფინანსების შესახებ მემორანდუმს მოეწერა ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფონდ „ქართუს“ შორის.

TUM International-თან გაფორმებული ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია ქუთაისის უნივერსიტეტის შემადგენლობაში ინოვაციების ცენტრის, კლასტერების ჰაბის და გამოყენებითი კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება და პოტენციური ბიზნესპარტნიორების მოძიება. ერთობლივად შემუშავდება კონცეფცია ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრების განვითარების მიზნით, რაც ქუთაისის უნივერსიტეტს ხელს შეუწყობს, გახდეს ცოდნისა და ინოვაციების ცენტრი რეგიონში. კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ქალაქი ქუთაისში 140 ჰექტარზე გაშენდება. პროექტის ბიუჯეტი, თბილისის ტექნოლოგიურ ცენტრთან ერთად, 1 მილიარდ ევროს შეადგენს და მას სრულად აფინანსებს ფონდი „ქართუ“.

პროექტზე მმართველი საბჭო იმუშავებს, რომლის შემადგენლობაში მიუნხენის უნივერსიტეტის, ასევე — საქართველოსა და ბავარიის მთავრობის წარმომადგენლები იქნებიან.

მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს (TUM), რომელიც მე-19 საუკუნეში დაფუძნდა, 12 ფაკულტეტი აქვს, მათ შორის — საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, კვების ტექნოლოგიის და სამედიცინო. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს. ყოველწლიურად, 1000-ზე მეტი ხელშეკრულება ფორმდება წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებთან. უნივერსიტეტის სტუდენტებმა 800-ზე მეტი „სტარტაპ კომპანია“ დააფუძნეს. მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს 40 000 სტუდენტი და 10 000 თანამშრომელი ჰყავს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მიღებული აქვთ 13 ნობელის პრემია ფიზიკაში, ქიმიასა და მედიცინაში.

ირაკლი კობახიძე: ვენეციის კომისია საკონსტიტუციო პროექტზე საბოლოო დასკვნას ოქტომბერში გამოაქვეყნებს

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის თქმით, საქართველოს პარლამენტმა სთხოვა ვენეციის კომისიას, რომ დასკვნა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო პროექტის ორი მოსმენით მიღების შემდეგ ოქტომბერში, რათა ამ დასკვნაში აისახოს ის ცვლილებები, რომლებიც ბოლოს განხორციელდა.

„საბოლოო დასკვნა ქვეყნდება ახლა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო დღეების განმავლობაში შევიდა ცვლილებები, საბოლოო დასკვნაში ვერ ესწრება ამ ცვლილებების ასახვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთხოვეთ ვენეციის კომისიას, რომ ორი მოსმენით მიღების შემდეგ, როდესაც გამოიკვეთება მთლიანად ტექსტი, კიდევ ერთი საბოლოო დასკვნა გადმოუგზავნოს საქართველოს პარლამენტს. საპარლამენტო განხილვები დაიწყება და ორი მოსმენა დასრულდება ამ თვის ბოლომდე, ოქტომბერში მესამე მოსმენით მივიღებთ კონსტიტუციას“, — განაცხადა კობახიძემ. მისივე თქმით, დაპირება რჩება ძალაში და ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტს პარლამენტის სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს.

კანონპროექტის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელეს.

25 მაისის მთავრობის სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრმა მთავრობას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კანონპროექტი წარუდგინა.

პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს შეუსაბამო მუხლების გაუქმებას სთხოვს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ე.წ. მოსმენების კანონის პაკეტთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის სტატუსით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს და საქართველოს კონსტიტუციასთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შეუსაბამო მუხლების გაუქმებას ითხოვს.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა დოლიძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს ე.წ. „მოსმენების კანონთან“ მიმართებაში არაერთხელ აქვს გამოყენებული ვეტო, რადგან მიაჩნდა, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი არ აყალიბებდა დამოუკიდებელ სტრუქტურას, რომელიც განახორციელებდა მოსმენებს — ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. **„შესაბამისად, პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს სასამართლოს მეგობრის სტატუსით, რათა გაუქმდეს მოსმენების კანონში მუხლები, რომლებიც შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან“,** — აღნიშნა ანა დოლიძემ.

შესაბამის დოკუმენტს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საკონსტიტუციო სასამართლოში დღეს შეიტანს.

მაღალმთიანი დასახლებების ნუსხას 37 სოფელი დაემატება

მაღალმთიანი **დასახლებების ნუსხას 37 სოფელი დაემატება და მომავალი წლიდან შესაბამისი სოციალური შეღავათებით კიდევ 7000-მდე მოსახლე ისარგებლებს — 37 სოფლისთვის მთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შუამდგომლობა გუშინ მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მოიწონა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს 3700 დასახლებიდან, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1678 დასახლებას, დაახლოებით 45%-ს.

საბჭომ იმსჯელა და მოიწონა დასახლებისთვის მაღალმთიანის სტატუსის მინიჭების მიზნით შემოსული 28 შუამდგომლობა, რომელიც საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. სხდომის მონაწილეებმა ასევე მხარი დაუჭირეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახელის ხეობის 9 სოფლისთვის სტატუსის მინიჭების შუამდგომლობას.

◎ ჰუმანიზმი

ნუ დაუწერთ ბავშვებს ორიანს!

ალბათ, გეხსომებათ უფროსი თაობის ადამიანებს „ავადსახსენებელი საბჭოეთის“ გამოჩენილი მწერლის გორკის სიტყვები: „ადამიანი, ეს ჟღერს ამაყად“. გაჩნდე ადამიანად, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, რას ამბობს ჩვენი გენიოსი პოეტი რუსთაველი? „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. ესე იგი, მთავარია, ადამიანად დარჩე და ყველაფერს მოევლებაო. უამრავჯერ თქმულა: ადამიანი არ უნდა დაამცირო. ადამიანს ღირსეულად უნდა მოეპყრა. „გიყვარდეს მოყვასი შენი“, მაგრამ ჩვენ ხშირად ცალ ყურში შევუშვებთ ამ სიტყვებს და მეორიდან გამოვუშვებთ. სად ხდება ადამიანის ჩამოყალიბება პიროვნებად? ოჯახშიო, იტყვით თქვენ და მართალი იქნებით, მაგრამ ასევე საბავშვო ბაღშიც და განსაკუთრებით — სკოლაში! აი, სადაც შეიძლება ადამიანი ზნესრულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, კეთილი საწყისები განუვითარდეს ან სულაც ბოროტად ჩამოყალიბდეს. ეს ყველაფერი მასწავლებლებზეა დამოკიდებული. გყოლიათ, ალბათ ნერვული, ჯაჯღანა, მონსტრი მასწავლებლებიც. რამდენ სტრესს განიცდის ასეთი ვაიმასწავლებლების შემყურე პატარა მოწაფე, თუ მას უდიერად მოეპყრობიან, თავმოყვარეობას შეულახავენ. დარღვეული ფსიქიკა კი ვინ იცის, როდის გამოავლენს თავს.

ამ დღეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მასწავლებლებს თხოვნით მიმართა: „არასდროს ორიანი არ დაუწეროთ მოწაფეს“. პატრიარქის ეს მოწოდება უზარმაზარი ჰუმანური აქტია. თუ თქვენ ამას ყურად იღებთ, მასწავლებლებო, ამით დიდ საქმეს გააკეთებთ, დასახიჩრებისგან იხსნით პატარების სულს, გულს. მასწავლებლებო, ნუ დაუწერთ ბავშვებს ორიანს!

მზია გელენავა

„ბიძინას ავადმყოფობის“ თემა „მიშას გუნდის“ ძალიან ზუსტად და ეშმაკურად მიგნებული ტექნოლოგიაა, რომელზე საპასუხოდ „კარგი“, მით უმეტეს „არაწამგებიანი“ ან „არადამაზიანებელი“ სვლები ხელისუფლებას უბრალოდ არა აქვს და ვერც ექნება.

ნაციონალების სიმსივნურ ტვინში ათასი უბედური აზრი ჩნდება

დიდი ამერიკელი კინორეჟისორის დევიდ ფინჩერის შესანიშნავ ფილმში „Social Network“ ფეისბუქის ერთ-ერთი დამფუძნებელი ამბობს: „საზოგადოებაში, სადაც სოციალურ კავშირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, „ფეისბუქი“ ბირთვული ბომბი იყო“.

ზუსტად ასეა და ამ თემაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. თუმცა, ამჯერად დავაკვირდეთ ქართული „სოციალური ქსელის“ რეაქციას ინფორმაციაზე ბიძინა ივანიშვილის „ინსულტის“ შესახებ. ამ შემთხვევაში, ხსენებული ფენომენის (სოციალური ქსელის, როგორც საზოგადო კომუნიკაციის საშუალების) უამრავი წახნაგიდან კიდევ ერთი გამოჩნდა: „ლეგალური“ (პირობითად) ტელემედია ან სოლიდური საინფორმაციო სააგენტოები „ნიუსს“ ასე ვერ „გააპიარებდნენ“, რადგან ჯერ ერთი, სოლიდურ მედიას, რომელიც საკუთარ რენომეს უფრთხილდება, დადასტურება სჭირდება; ესე იგი, მხოლოდ ჭორის (იმავე ფეისბუქზე გამოქვეყნებული ცნობის) საფუძველზე ღირებულ „ნიუსს“ ვერ შექმნის; გარდა ამისა, „ლეგალურ მედიაში“ (ისევ პირობითი ტერმინით) არსებობს ისეთი „შემაკავებელი ფაქტორი“, როგორიც ეთიკაა, რადგან სხვა ადამიანის ჯანმრთელობაზე საჯაროდ მსჯელობა, ზოგადად ამორალურია.

საქართველოს პირობებში „დამცავი მექანიზმი“ კიდევ უფრო მტკიცეა: ოჯახური და პირადი საიდუმლოების გაცემა სისხლის სამართლის დანაშაულადაც კი ითვლება! თანაც, ამ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება ქართული „პოლიტიკუმის“ შეთხზული დებულება, თითქოს „თანამდებობის პირს აქვს თმენის ვალდებულება“: ბიძინა ივანიშვილი, ფორმალურად, ჩვეულებრივი მოქალაქეა და არანაირი თანამდებობა არ უკავია!

მაშასადამე, ამ ერთი „ჭორით“ იქმნება სამმხრივი კოლიზია ე.წ. „ფაქტობრივ-რეალურ მდგომარეობას“, იურიდიულ მოთხოვნასა და ეთიკურ ნორმას შორის!

აქვე ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ გაუგებარია, ვინ მოიგონა საქართველოში ეს სისულელე – „თანამდებობის პირთა თმენის ვალდებულების“ შესახებ? არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არაფერი მსგავსი არ არსებობს, ხოლო ნებისმიერი რანგის ჩინოსანს ზუსტად ისეთივე უფლებები აქვს, როგორც სხვა მოქალაქეებს. „ვალდებულებები“ – კი ბატონო.

თუმცა, ესეც სხვა თემაა.

* * *

დავუბრუნდეთ ისევ ივანიშვილის „ავადმყოფობას“: პრობლემა სწორედ მაშინ იწყება, როდესაც ხდება ქართულ პოლიტიკუმში მიღებული, თუნდაც არაფორმალური დისკურსის ექსტრაპოლირება რეალურად არსებულ სიტუაციაზე.

დავაკვირდეთ: ზუსტად ის ხალხი, ის „NGO-კამარილია“, ვისთვისაც ზოგადად მიუღებელია ადამიანის პირად ცხოვრებაზე, პერსონალურ თუ ოჯახურ პრობლემებზე მსჯელობა, ამ შემთხვევაში ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს წეროს და იკითხოს ივანიშვილის „ინსულტის“ თაობაზე სწორედ იმ მოტივით, რომ იგი არა კერძო პირი, არამედ „არაფორმალური მმართველია“; შესაბამისად თუნდაც თითიდან გამოწოვილი „თმენის ვალდებულება“ მასზე მაინც ვრცელდება, რაკი „ისედაც ხომ ყველამ ვიცით, – ის არის რეალურად ხელისუფალი!“.

მერედა, ვინაა დამნაშავე? „დამნაშავეა“ სისტემა, რომელიც თავად ბიძინა ივანიშვილმა შექმნა მაშინვე, როგორც კი უარი განაცხადა, დაეკავებინა ლეგალური სახელმწიფო პოსტი და „წავიდა პოლიტიკიდან“, ოღონდ ხელისუფლება მთლიანად დააკომპლექტა საკუთარი „სტაფით“.

აქედან გამომდინარე, განურჩევლად იმისა, რა მოტივი უნდა ჰქონდეთ მათ, ვინც ახლა ავრცელებს ჭორებს ივანიშვილის „ინსულტის“ შესახებ (პოლიტიკოსებს ძნელია განსაკუთრებული ზნეობა მოსთხოვო მათი პროფესიული ფუნქციიდან გამომდინარე), მიზეზი მაინც ის სისტემაა, რომელიც ამგვარ „სათქმელს“ ნამდვილად ქმნის: ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობა არაფრით არ შეიძლება იყოს მისი „პირადი საქმე“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართლა მისი საქმეა. იმიტომ, რომ რეალურად, იგი მართლა არ არის „ჩვეულებრივი მოქალაქე“.

ეს შესანიშნავად იცოდნენ მათ, ვინც ხსენებული „საინფორმაციო აქტი“ განახორციელა და მიაღწიეს კიდეც შედეგს იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიამ (რომლის დირექტორმაც გამოაქვეყნა პირველმა ეს ცნობა!) ბოდიშიც არ მოიხადა, თუმცა... საკითხი მაინც ღიად დატოვა.

* * *

ამ ისტორიაში სამი საინტერესო ასპექტია. პირველი ის, რომ ნიკა გვარამია საკმაოდ გამოცდილი თაღლითია და მთლად „თითიდან გამოწოვილ ნიუსს“ არ დადებდა. საეჭვოა მართლა „ინსულტი“ იყოს, რადგან ბიძინა ივანიშვილის კომპლექციისა და ცხოვრების წესის ადამიანებს ინსულტი იშვიათად მოსდით. კი, ხდება ხოლმე, მაგრამ ძალიან იშვიათად. მით უმეტეს, დღეს (!) ივანიშვილს ბევრი არაფერი აქვს სანერვიულო.

ბუნებრივია, მილიარდერი და მისი ოჯახის წევრები რეგულარულად იტარებენ სრულყოფილ გამოკვლევებს „ოქროს დაზღვევის“ ფარგლებში, რომლებიც მათ აქვთ, ხოლო ეს გამოკვლევა (საქართველოში თუ საზღვარგარეთ) თავისთავად ქმნის საფუძველს არც თუ კეთილსინდისიერი ჭორებისთვის.

მეორე: „რუსთავის“-ის ორმა წამყვანმა, ერთდროულად, ორ სხვადასხვა გადაცემაში, ამ „ნიუსს“ ნიშანდობლივი ინტერპრეტაცია მისცა: „იმედია, ბიძინა ივანიშვილი თავად გამოჩნდება საჯარო სივრცეში და ამ ჭორებს უარყოფსო“.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც „რუსთავი-2“ წარმოადგენს, ახლა ძალიან სჭირდება ბიძინა ივანიშვილის შემოყვანა ან „შემოტყუება“ საჯარო-საინფორმაციო სივრცეში და მისი მონაწილეობა წინასაარჩევნო დისკურსში. განსაკუთრებით თბილისის მერის თაობაზე. ეს ბევრად უფრო სჭირდებათ, ვიდრე სჭირდებოდათ წინა საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რადგან თბილისის მერის არჩევნები, სინამდვილეში, პოლიტიკურად არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხოლო „რესურსები“ მმართველ ძალას კი არ ემატება – უფრო აკლდება. მით უმეტეს „რეპერების“ საქმეზე, „მაჟორიტარულ არჩევნებზე“, „კონსტიტუციაზე“ და სხვა საკითხებზე აშკარა შიდა უთანხმოებათა ფონზე.

და მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი: ამ „საინფორმაციო სვლის“ ავტორებმა შესანიშნავად იციან ის, რასაც ხშირად არ ითვალისწინებენ მათი ოპონენტები: ნებისმიერი ხელისუფლება, მით უმეტეს საქართველოში, ეყრდნობა „საშუალო რგოლის“ ბიუროკრატიას. ხელისუფლების შენარჩუნების, ან მისი წართმევის თვალსაზრისით, გადამწყვეტი სწორედ „საშუალო ბიუროკრატიული რგოლის“ პოზიციაა – მისი აქტიურობა, ან პირიქით, მისი პასიურობა.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც ვრცელდება ინფორმაცია ქვეყნის რეალური მმართველის მძიმე ავადმყოფობის თაობაზე, ხოლო ის თავად არ ჩნდება ეკრანზე, მაშინ, ტრადიციულად „მედროვე“ და მერყევი „საშუალო რგოლის ბიუროკრატია“, განსაკუთრებით რეგიონებში (მივაქციოთ ყურადღება – ახლა ხომ სწორედ მუნიციპალურ არჩევნებზეა ლაპარაკი) იწყებს ჭოჭმანს, მერყეობას, ლავირებას და, მთლიანობაში, მოქმედებს ცნობილი შიშნეული დათქმით: „რა იცი, რა ხდება“, „რა იცი, ვინ მოდის“, „რა იცი, ვინ მიდის“ ან „რა იცი, ვინ ბრუნდება...“ სწორედ ამიტომ არის „მნიშვნელოვანი“ ოპოზიციისთვის, არა იმდენად ელექტორატს, რამდენადაც ბიუროკრატიის „საშუალედო რგოლს“ დაეტყოს ეს ჭოჭმანი, გაურკვევლობა, შიში და ნევროზულობა: „ვაითუ მართლა ავადაააა... ვაითუ მართლა ინსულტი აქვს...“

* * *

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ახლა მოხდა, მხოლოდ დასაწყისია: რაც დრო გავა, ამ „ტექნოლოგიას“ სულ უფრო აქტიურად გამოიყენებენ და სულ უფრო ხშირად იქნება „ტოპ-ნიუსში“ ივანიშვილის „ავადმყოფობის“ თემა მაშინაც კი, როცა სრული ტყუილია.

ჩვენში ხშირად დენ სიაოპინის მაგალითი რომ მოჰყავთ ხოლმე, ეს მაგალითი საშინლად არარელევანტურია: ჩინეთი დემოკრატიული სახელმწიფო არ იყო; იქ არავითარი ოპოზიცია და არანაირი სიტყვის თავისუფლება არ არსებობდა; ხოლო მას, ვინც დენ სიაოპინის ავადმყოფობაზე გაავრცელებდა ინფორმაციას (თუნდაც „მონაჩმახს“), უბრალოდ თავს მოაძრობდნენ!

საქართველოში ამგვარი ვითარება, საბედნიეროდ, არა გვაქვს. ამიტომ ბიძინა ივანიშვილიც და მისი გუნდიც აუცილებლად აღმოჩნდება ძალიან არასასურველი არჩევანის წინაშე: ან მუდმივად უარყოს ეს ჭორები, ოღონდ ისე, რომ ივანიშვილი თვითონ არ გამოჩნდეს საჯარო სივრცეში (და ამით გააძლიეროს ბიუროკრატიული შიშნეულობა-ჭოჭმანი), ან საჯაროდ უარყოს თვით ივანიშვილმა და ამით დაადასტუროს, რომ იძულებულია, პირადად ირეაგიროს „მედიადივერსიაზე“, მიუხედავად მისი პრივატული სტატუსისა, ესე იგი მოიქცეს ისე, როგორც მის ოპონენტებს აწყობთ;

ან კიდევ, შემოვიდეს საზოგადო-პოლიტიკურ დისკურსში და მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში, მიუხედავად არაოფიციალური სტატუსისა, რითაც კიდევ უფრო გააძლიერებს ოპოზიციის არგუმენტებს „არაფორმალური მმართველობის“ შესახებ.

* * *

სინამდვილეში, „ბიძინას ავადმყოფობის“ თემა „მიშას გუნდის“ ძალიან ზუსტად და ეშმაკურად მიგნებული ტექნოლოგიაა, რომელზე საპასუხოდ „კარგი“, მით უმეტეს „არაწამგებიანი“ ან „არადამაზიანებელი“ სვლები ხელისუფლებას უბრალოდ არა აქვს და ვერც ექნება.

საპასუხო სვლები ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირფესვიანად შეიცვლება თვით სისტემა: ბიძინა ივანიშვილი კვლავ დაიკავებს ოფიციალურ პოსტს და გახდება ლეგალური ხელისუფალი, რასაც მას სთავაზობდნენ 2013 წელს, როცა 10000000%-იანი გარანტია ჰქონდა, დარჩენილიყო პრემიერ-მინისტრად ან არჩეულიყო პრეზიდენტად, მაგრამ მან ეს არ ისურვა და ამ უარით თავად შექმნა „შეყოვნებული მოქმედების ნაღმი“, რომლის აფეთქება მხოლოდ დროისა და ტექნოლოგიის საქმეა.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ამ „მახიდან“ გამოსავალი ერთადერთია: ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება ლეგალურ სახელისუფლებო სივრცეში – რამდენად არაკომფორტული და სარისკოც არ უნდა იყოს ეს პირადად მისთვის.

ნიკა იმნაიშვილი

გიორგი მღებრიშვილი: სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, ხშირად მიმართავენ ინსინუაციებს, ცდილობენ, მოძალადიდან „მსხვერპლად“ იქცნენ

შსს მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი** ნარკოტიკების ჩადების წინააღმდეგ გააქტიურებულ კამპანიასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

„– არავისთვის იქნება, ალბათ, მოულოდნელი, თუ ვიტყვი, რომ არსებობენ ჯგუფები, გარკვეული ძალები, რომელთაც აქვთ თავიანთი კონკრეტული მიზნები და მათი რეალიზებისთვის ხშირად იყენებენ ცალკეულ შემთხვევებს, რაზეც მიზანმიმართულ კამპანიას აგორებენ. სწორედ ასეთი შემთხვევის მონაწილეები გავხდით ბოლო მოვლენების დროს, რასაც თქვენს კითხვაში გულისხმობდით. ორი ადამიანის დაკავება ნარკოდანაშაულის ბრალდებით გახდა ნარკოტიკების ლიბერალიზაციისა თუ დეკრიმინალიზაციის მომხრეთა აქტიურობის მიზეზი და ცალკეული პოლიტიკური ძალების, რომელთაც, ასევე, საკუთარი მიზნები და ამოცანები აქვთ. მე ახლა დეტალურად არ ვისაუბრებ ნარკოპოლიტიკაზე. პრემიერ-მინისტრმა უკვე გამოხატა მთავრობის პოზიცია და მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, რაც რიგი საკანონმდებლო ცვლილებების მხარდაჭერას გამოხატავს, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან მიმართებაში. თუკი შესაბამისი კანონმდებლობა იქნება, ბუნებრივია, შსს იმოქმედებს ისე, როგორც ეს კანონშია გაწერილი.

რაც შეეხება „ჩადებებს“, თქვენც ეს გამოთქმა ახსენეთ თქვენს კითხვაში, რასაც იმავე აქციის მონაწილეებიც იყენებდნენ. კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, იცით, რომ პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და გამოძიების დასრულებამდე კომენტარისგან თავს შევიკავებ. მაგრამ ერთი რამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავინახე: ამ აქციების დროს და შემდეგაც ისევ გამოჩნდნენ ის ადამიანები ან მათი ახლობლები და ოჯახის წევრები, რომელთაც აქამდეც არაერთი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.დანაშაულთან მათი კავშირის შესახებ საზოგადოებამ ისედაც ყველაფერი იცის და რა ხდება? ეს ადამიანებიც აპელირებენ იმით, რომ მათ „ჩაუდეს“. ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება. საერთოდ, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებითაც შემიძლია გითხრათ, რომ დამნაშავეები, მოსალოდნელი სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, ხშირად მიმართავენ ინსინუაციებს, ცდილობენ, მოძალადიდან „მსხვერპლად“ იქცნენ. საბოლოო ჯამში, ეს საფრთხეს უქმნის თავად საზოგადოების უსაფრთხოებას და მიმაჩნია, რომ ამაზე ყველანი უნდა დავფიქრდეთ“, – აცხადებს მღებრიშვილი „პრაიმ ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ბიზნესა პარლამენტარები

ეს სახელი — „ბიზნესა პარლამენტარები“ — ჩვენი დეპუტატების სამოღვაწეო საქმიანობიდან გამომდინარე, ქართველ პარლამენტარებს არც თუ შემთხვევით შევარქვი. მეტსახელი „ბიზნესა“, ვფიქრობ, იმდენად მორგებულია ჩვენებურ კანონმთხზველებზე, რომ ამ შერქმევის ჭეშმარიტებაში არა მგონია ეჭვი ვინმეს შეეპაროს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შემოჭრის გარიჟრაჟზე გამოჩენილი ვინმე თვითმარქვია ბიზნესმენი ოქროწონაშვილი, რომელიც პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში მამალ-მამალ სისულელეებს აბრეხვებდა. მისი აზრით, საქართველო ცივილიზებულ ქვეყნად ვერასოდეს იქცეოდა თუ მისი პარლამენტი უპირველესად ბიზნესმენებით არ შეივსებოდა. აკი წამოგვეწია კიდეც მისეული „სიბრძნე-შორსმჭვრეტელობა“, დღევანდელი ჩვენი პარლამენტი შეივსო კი არა, უკვე პირთამდე გადაივსო ბიზნესმენი დეპუტატებით. ადრე თუ ბიზნესმენის გადეპუტატება იშვიათ ხილად აღიქმებოდა, ახლა პარლამენტი ერთიანად გაძეძგილია ფულიანი ბიზნესმენებით (იმათგან 41 მილიონერია!). დღეს თუ ვინმემ ფული იშოვა, ყველამ პარლამენტში დაივანა.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ დაინტერესდებით და იკითხავთ: რა თაფლის საბადოს მიაგნეს ბიზნესმენებმა პარლამენტში, ასე შირვანის ბუზებივით რომ ესევიან? იქნებ ქუთაისის გზაზე წაღმა-უკუღმა პროწიალი ხიბლავთ, ან კიდევ პარლამენტის ულტრათანამედროვე ნაგებობა, სადაც უხვნალექიან დღეებში კოკისპირულად წვიმს, ხოლო ზაფხულის ხვატში დეპუტატებს უჟანგბადობა ახრჩობთ? ჩემი ახსნა-განმარტება ვის რაში სჭირდება, ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ მათ უჟანგბადობაზე მეტად ფულის იოლად შოვნა-კეთების წყურვილი ახრჩობთ(!)

თავი გავანებოთ ბიზნესის მკეთებელ მილიონერ დეპუტატებს და იმათ „გასაჭირსაც“ შევხედოთ, ვინც მარტო პულტზე თითის დასაჭერად არის არჩეული პარლამენტში და თვიდან თვემდე „მცირე“ ხელფასითა და რაღაც პრემია-დანამატებით ირჩენს თავს. ამათ იმედად ისღა რჩებათ, რომ სადეპუტატო ვადის ამოწურვის შემდეგ რიგითი მოქალაქეების მწარე ხვედრს არ გაიზიარებენ და მათზე სულ მცირე სამჯერ მეტ პენსიას მაინც დაითრევენ. არადა, **სახელმწიფო ბიუჯეტს დეპუტატყოფილების შენახვა ცოტა კი არ უჯდება. დაინტერესებულმა ექსპერტებმა იანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ მათ მარტო შარშან ქვეყნის ხაზინას 4,6 მილიონ ლარზე მეტი დასტყუეს.**

და ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს საჭმლისა და წამლის ფულიც ენატრება. ამ ფონზე დეპუტატყოფილებისთვის, რომლებსაც ხალხის სასიკეთოდ ბევრი არაფერი უკეთებიათ, მილიონების გადახდა უბრალოდ სირცხვილია. ამას კიდევ რა უჭირს, არის შემთხვევები, როცა აღმსრულებელ ხელისუფლებაში სამუშაოდ გადაყვანილ პარლამენტარებს მზითვად დეპუტატის ხელფასსაც აყოლებენ. აღარაფერს ვამბობ დეპუტატყოფილ მილიონერებზე და მათ ხელგაშლილ საბიზნესო „მოღვაწეობაზე“, რომლებსაც საკუთარ მილიონებთან ერთად, დეპუტატის პენსიის ჩაჯიბვაც არ ეთაკილებათ.

თუმცა უმადურობას გამოვიჩენთ თუ არ ვაღიარებთ, რომ უბიზნესო დეპუტატებთან შედარებით გაცილებით რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა ბიზნესის, განსაკუთრებით, მსხვილი ბიზნესის მკეთებელ პარლამენტარებს. მათი უმთავრესი გასაჭირი ხელმოცარულობა და არაკომპეტენტურობა კი არა, დროის დეფიციტია. მათ შრომით ოფლგახვითქულებმა აღარ იციან, როგორ გაანაწილონ დრო ისე, რომ არც კანონმთხზველობას მოაკლდეს მათი მადლიანი ხელი და არც ბიზნესმილიონების კეთებას. ამათგან უფრო „ჭკვიანები“ უფრო ბიზნესით „ხელჯომარდობას“ არჩევენ და ალბათ, არც ცდებიან. მათ რომ მთელი დრო პარლამენტში ემთქნარ-ეყვინთათ და საკუთარი ბიზნესი ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ, ხომ წარმოგიდგენიათ, ქვეყანა რა გამოუვალ კოლაფსში აღმოჩნდებოდა?!

ამ მიღწევით მილიონებით დახუნძლულმა დეპუტატებმა (შოთა შალელაშვილი, იოსებ მაკრახიძე, ბექა ოდიშარია და სხვები) არა მარტო ქვეყანა იხსნეს სამარცხვინო წარუმატებლობისგან, ამასთან, ერთგვარად ნამუსზე შეაგდეს ჩვენი ყიამყრალი ნაცბანდა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას წარამარა ბიზნესის მოშლასა და ეკონომიკის დაქცევაში ადანაშაულებს. არადა, **თუ არამზადა ნაცები, როგორც სხვა ყველაფერში, ამ საქმეშიც არ მამაძაღლობენ და არ თვალთმაქცობენ, გონიერი კაცი ხომ უნდა დაფიქრდეს, რანაირად ხდება, რომ ბიზნესის კეთებისთვის ამ მოშლილ-მოფუტკნულ პირობებში ჩვენმა საქმოსანმა დეპუტატებმა არაფრის კეთებით მილიონები დაახვავეს?**

აქვე უნდა განვმარტო, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს ჩვენი მილიონერი დეპუტატები, ვიდრე პარლამენტში დათბუნდებოდნენ, უპოვარნი და ღარიბ-ღატაკნი იყვნენ (უფუ-ლოს პარლამენტში ვინ მიასუნინებს!). არა, რა თქმა უნდა, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ერთ ჩემ ნაცნობ ბიზნესმენს, რომელმაც გურიაში არჩევნები წააგო, შინაურულად გავესაუბრე.

— კაცმა რომ თქვას, — ვუთხარი, — ფული შენ არ გაკლია და კვაჭური გამოცდილება, აბა, რა მოხდა, იმ შენმა კონკურენტმა ქალბატონმა რით გაჯობა?

— რითა და ფულით, ჩემო ძმაო, იმას ჩემზე მეტი მილიონები აღმოაჩნდა და არჩევნებიც მაგიტომ მოიგო.

— კი მაგრამ, თქვენი ვერაფერი გავიგე, ბანკში მილიონები თუ გიწყვიათ, იმ პარლამენტში რაღასთვის მიძვრებით?

— თავის აუტკიებლად და კომფორტულად უფრო მეტი მილიონების საშოვნელად. შენც კარგად მოგეხსენება, იქ საამისოდ საუკეთესო სასათბურე პირობებია შექმნილი. რა სჯობს დეპუტატის იმუნიტეტს, ვერც ზემოდან შეგაწუხებს ვინმე ზედმეტად და ვერც ქვემოდან, ხანდახან ქუთაისს ესტუმრები, პარლამენტშიც შეივლი ამომრჩევლისთვის თავის მოსაჩვენებლად, დანარჩენ დროს დაჯდები და საკუთარ ბიზნესში იქექები, რომ არავინ გაგძარცვოს-დაგაყაჩაღოს, საკუთარი დაცვა გეყოლება და შენს მიერ შექმნილ ბიუროში რამდენიმე მუშაკიც მოგემსახურება, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ მსუყე ანაზღაურებას აძლევს.

ასეა, პატივცემულო მკითხველო, აღუვსებელია კაცის (ქალისაც) გული და სურვილი, ის ცოტას არასოდეს სჯერდება და სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს ეპოტინება. მერე რა ვუყოთ, თუ ამ მილიონების დევნაში ჩვენი პარლამენტარები ისე არიან გახლართულ-გადაქანცულნი, რომ არათუ კანონშემოქმედების, თავის მოსაფხანი დროც აღარ რჩებათ. ასეთ დროს გამოხტება ვინმე ახვარი და საბიზნესო მოღვაწეობით რომელიმე ქანცგაცლილ დეპუტატს საკანონმდებლო აქტიურობას და ამომრჩევლებთან საქმიან შეხვედრებს მოსთხოვს. ვაცალოთ, ბატონებო, დეპუტატებს ბიზნესის და მილიონების მშვიდად კეთება, თორემ დღევანდელი გაჭირვებული ყოფა შეიძლება, ხვალ სანატრელი გაგვიხდეს!

ოთარ ხუციშვილი

აზიის განვითარების ბანკი ახალ მაგისტრალს დააფინანსებს

აზიის განვითარების ბანკი (ADB) ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის დაახლოებით 50 კმ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას დააფინანსებს. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აზიის განვითარების ბანკის გენერალურმა დირექტორმა შონ ოძსალივანმა (Sean O'Sullivan), რომელიც საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება. შეთანხმება 80 მლნ. აშშ დოლარის ფინანსური რესურსის გამოყოფას ითვალისწინებს.

ხელმოწერის შემდეგ გაკეთებულ კომენტარში პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქარესნული ავტომაგისტრალისა და შემოვლითი გზების განსავითარებლად. **„ეს ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს, ახალ კავშირებს რეგიონებს შორის და იმ მხარდაჭერას, რომელსაც ჩვენ ვიღებთ აზიის განვითარების ბანკისგან“,** — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა. პროექტით დაფინანსდება ძირულა-ჩუმათელეთის მაგისტრალთან სარკინიგზო სადგურებისა და ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკთან დამაკავშირებელი გზები. პროექტის ფარგლებში მოხდება ასფალტის დაგება, ხიდების გარემონტება/რეკონსტრუქცია, გზის სადრენაჟე მილების გარემონტება/რეკონსტრუქცია, გზის გასწვრივ სადრენაჟე ნაგებობების მშენებლობა და საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება გზის მონიშვნა და აღჭურვა სათანადო საგზაო ნიშნებით, უსაფრთხოების ბარიერების მოწყობა. საავტომობილო გზა ორზოლიანი იქნება.

ჩვენს ქვეყანას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ არაფრის-მკეთებლებს აძლევდეს ფულს

„ახალი საქართველო“ გუბერნიებში გაცემულ პრემია-დანამატების შესახებ კვლევას აქვეყნებს. კვლევის მიხედვით 2016 წლისა და 2017 წლის ოთხი თვის მხოლოდ პრემია-დანამატმა 5 გუბერნიაში 1 063 486 შეადგინა. **,,ეს თანხა ბიუჯეტიდან სრულიად არაეფექტურად არის გახარჯული, ვინაიდან გუბერნიები და მათი გუბერნატორები ფაქტიურად არაფრის კეთებაში იღებენ მილიონობით ლარს, ჩვენ კვლევაში საუბარი გვაქვს მხოლოდ პრემია-დანამატზე და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამას თუ დავუმატებთ, მათ თანამდებობრივ სარგოს, თანხა მინიმუმ გაორმაგდება. გუბერნიების „მუშაობის“ პარალელურად აღსანიშნავია, რომ 5 ქალაქს გაუუქმეს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, მიზეზად კი დასახელდა ბიუჯეტიდან არამიზნობრივი თანხის ხარჯვა, თუ ბიუჯეტის თანხების ოპტიმიზაციაზე ვფიქრობთ, პირველ რიგში სწორედ გუბერნიები არის გასაუქმებული, ვინაიდან არ აქვთ არანაირი უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების უფლება.**

ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ დამატებით არსებობდეს უფუნქციოდ გაზრდილი სტრუქტურული ერთეულები და მათი თანამშრომლების შენახვაში ბიუჯეტიდან იხარჯებოდეს მილიონობით ლარი, როდესაც ქვეყანაში ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და იმის ნაცვლად, რომ სოციალურად დაუცველთა რიცხვი იკლებდეს, მათი რაოდენობა დღითიდე საგრძნობლად იზრდება და სახელმწიფო ფაქტობრივად არაფერს აკეთებს მათ დასახმარებლად, ნაცვლად იმისა, რომ მათი დეკლარირებული პოზიცია იყო, რომ გაეტარებინათ „ქამრების შემოჭერის პოლიტიკა“ ნათლად ჩანს, რომ ისეთი უფუნქციო სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის გუბერნიებიც კი არ ამბობენ უარს, როგორც მაღალანაზღაურებად ყოველთვიურ ხელფასებზე, აგრეთვე ამავე ოდენობით მიღებულ პრემია-დანამატზეც — განაცხადა ჩვენთან საუბრის დროს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა წევრმა მარიამ ქელბაქიანმა.

უვიზო რეჟიმი არავითარი საჩუქარი არ არის, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა!

შენგენის ზონაში, რომელიც 30 ქვეყანას მოიცავს, საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით 25 ათასზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა, 77 საქართველოს მოქალაქე კი უკან დააბრუნეს. ოფიციალურად, თუ რა მოტივით ეთქვათ უარი ქართველებს შენგენის ზონის გადაკვეთისას, უცნობია, თუმცა, მათი ნაწილი სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო არ შეუშვეს.

ევროკავშირის ზონაში უვიზოდ ყოფნის 90-დღიანი ვადა 29 ივნისს იწურება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც საზღვარი 28 მარტის მდგომარეობით გადაკვეთეს. შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, როგორი იქნება საერთო სურათი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს შემთხვევაში საუბარია არა ტურისტებზე, არამედ ეკონომიკურ მიგრანტებზე, რომლებიც ევროპის ქვეყნებში არალეგალურად ცდილობენ დასაქმებას, სავარაუდოა, რომ 90-დღიანი ვადების დარღვევა აღირიცხება.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ უვიზო მიმოსვლის ფარგლებში, საქართველოდან შენგენის ზონაში საზღვარი 20 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა, უკან მხოლოდ ერთეულები დააბრუნეს.

რამდენად ვასრულებთ უვიზო რეჟიმის პირობებს, ჯერ ამის თქმა შეუძლებელია, რადგან 3-თვიანი პერიოდი ჯერ არ გასულა. როგორც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა აცხადებს, ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში საქართველოდან გასულია 25 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე.

„ეს არის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს სასაზღვრო უწყებიდან. რაც შეეხება არშეშვების ფაქტებს, ასეთი 77 შემთხვევა გვაქვს. ბუნებრივია, რომ ეს 77 შემთხვევა არ ითვლება დეპორტაციად, რადგან შენ არ შედიხარ ქვეყანაში, პირდაპირ საზღვრიდან გაბრუნებენ...

28 მარტიდან 18 მაისის ჩათვლით, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს 192 მოქალაქის დეპორტაცია განხორციელდა. შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მეტი — 73 ადამიანი გერმანიიდან იქნა დეპორტირებული, ხოლო ყველაზე ცოტა — ფინეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან, რომლებმაც 2 თვის განმავლობაში საქართველოს მხოლოდ 1 მოქალაქის დეპორტაცია განახორციელეს.

ქვეყნების მიხედით დეპორტირებულთა სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია: ესპანეთი — 16, საფრანგეთი — 12; ბელგია — 11; საბერძნეთი — 11; შვედეთი — 10; შვეიცარია — 10; იტალია — 9; პოლონეთი — 9; ავსტრია — 6; ლიტვა — 6; დანია — 5; პორტუგალია — 5; ნიდერლანდები — 4; ნორვეგია — 3.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში, 28 მარტიდან, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებში გადასაადგილებლად უვიზო რეჟიმით სარგებლობენ, 192 საქართველოს მოქალაქე, რომელთა დეპორტაციაც განხორციელდა, არ შედის იმ სიაში, რომელთაც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით ისარგებლეს.

for.ge-სთან საუბრისას თამარ ხულორდავა აცხადებს, რომ ეს დეპორტაციები ვიზალიბერალიზაციას არ უკავშირდება. მისივე თქმით, დეპორტაციის პროცედურა საკმაოდ დიდ ვადებს მოითხოვს.

„დეპორტაცია მუდმივად ხორციელდება და არანაირი გაზრდილი რიცხვი ჩვენ არ გვაქვს. დეპორტაციას ექვემდებარება საქართველოს ის მოქალაქე, ვინც შეიძლება ძალიან დიდი ხნის წინათ გავიდა ქვეყნიდან, უბრალოდ, აქამდე არ დაფიქსირებულა, როგორც სავიზო რეჟიმის დამრღვევი იმ ქვეყანაში. დეპორტაცია შეიძლება, მოხდეს როგორც სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის, ასევე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი მოქალაქეები იმ ქვეყნებში იხდიან სასჯელს, ხოლო სამართლებრივი პროცედურების ამოწურვის შემდეგ ხდება მათი დეპორტაცია, ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა.

სამწუხაროდ, ევროკავშირის ქვეყნებიდან აქამდეც ხდებოდა დეპორტაცია და, ალბათ, მომავალშიც გვექნება ასეთი შემთხვევები. ფაქტის სახით შეძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ეს 192 ადამიანი, ვინც 28 მარტის მონაცემებით მოხვდა დეპორტაციაში, არც ერთი არ არის იმ ადამიანთა შორის, ვინც უვიზო რეჟიმით გავიდა ქვეყნიდან“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **თამარ ხულორდავა**.

ექსპერტი **სოსო ცინცაძე** ელოდება, რომ 90-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, გაცილებით დრამატული იქნება იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც გამოაძევებენ ევროპის ქვეყნებიდან და შეიყვანენ ე.წ. „შავ კომპიუტერში“.

— „სულ მალე, რამდენიმე თვეში ვნახავთ რამდენად მომზადებული შეხვდა ჩვენი ხელისუფლება ამ რისკებს, რომელიც თავიდანვე არსებობდა და რომელიც მაშინ გამარჯვებულის ეიფორიით გადაიფარა. ეიფორიის პერიოდმა გაიარა, ხელისუფლებამ თავისი ქულები ჩაიწერა აქტივში და ახლა იწყება „პახმელია“.

ხალხს ეგონა, რომ ევროპამ უდიდესი საჩუქარი გაგვიკეთა. არავითარი საჩუქარი ეს არ არის, ეს გახლავთ უდიდესი პასუხისმგებლობა. ევროკავშირი ჩეხეთს, უნგრეთს და რუმინეთს სასამართლოში უჩივის, რადგან ისინი უარს ამბობენ მიგრანტების მიღებაზე. ყველა ყველა, მაგრამ ქართველი არალეგალი მიგრანტები ტერორისტულ საფრთხეს არ წარმოადგენენ. ეს არის ეკონომიკური მიგრანტები, რომელთა გამოძევება უპრობლემოა“, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

რაც შეეხება საქართველოს და 90-დღიან ვადას, ცინცაძე ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება, ბუმერანგად გვექცეს და წინა პლანზე წამოიწიოს მიძინებულმა პრობლემამ, რასაც ჰქვია 90-იან წლებში საქართველოდან გასული მოქალაქეები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნიდან ყალბი პირადობით არის გასული და მათი უმრავლესობა დღეის მდგომარეობით გერმანიაში იმყოფება.

„10 ათასობით თბილისელი გავიდა ყალბი მოწმობით ქვეყნიდან, რომ ისინი კონფლიქტის ზონაში ცხოვრობდნენ. მე ვიცი ადამიანი, რომელიც შევარდნაძის დროს მინისტრთა საბჭოში მუშაობდა და სახლში „პაჩკებით“ ეწყო ყალბი პასპორტები, რომ თითქოს ყველა ის ადამიანი კონფლიქტის ზონიდან იყო წამოსული.

ჩვენმა ხელისუფლებამ 2 წლის წინათ ამ ადამიანებს უფლება მისცა, რომ თუ გარკვეულ ვადაში, ანუ 31 დეკემბრამდე თავიანთი ნებით დაბრუნდებოდნენ, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად აღიძვრებოდა საქმე. ათასობით ქართველი, რომელიც ძირითადად გერმანიაშია, საქართველოში ავტომატურად, დე ფაქტო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ საქმის წარმოება არც ჩვენს ხელისუფლებას არ აწყობს. იმიტომ, რომ მათი გამოძევების შემთხვევაში სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმება ქვეყანაში.

ეს პროცესი სულ უფრო და უფრო დრამატულ სახეს მიიღებს ჩვენი მოქალაქეებისათვის. ევროპა ამკაცრებს კანონებს. არალეგალურ მიგრანტებზე, რომელზეც 5-8 წლის წინათ თვალს ხუჭავდა ბერლინი, პარიზი და სხვა ქვეყნები, დღეს უკვე თვალს ვერ ხუჭავენ, ვინაიდან ამან შექმნა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური პრობლემა. ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას და ამ სათანადო უწყებებს მოუწევთ სერიოზული მუშაობა“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძემ.

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

ვასილ მაღლაფერიძე: საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა იყოს მხოლოდ გამტარი პლატფორმა



„საზოგადოებრივ მაუწყებელში დღეს არიან ისეთი პროფესიონალები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ნამდვილად წაადგებოდა ბატონი გოგი გვახარიასა და ქალბატონი სალომე ასათიანის გადაცემების გაუკეთესებას“, — ამის შესახებ მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ამაში შეურაცხმყოფელი არაფერია.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს მათთვის შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, მაღალი აზრის ვარ ამ გადაცემის ავტორების პროფესიონალიზმზე. ამავე დროს დარწმუნებული ვარ, რომ მათი გადაცემებიც საჭიროებენ მნიშვნელოვან განახლებას და ფორმატის გაუმჯობესებას. ამაში არაფერი შეურაცხმყოფელი არ არის. საზოგადოებრივ მაუწყებელში დღეს არიან ისეთი პროფესიონალები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ნამდვილად წაადგებოდა ბატონი გოგი გვახარიასა და ქალბატონი სალომე ასათიანის გადაცემების გაუკეთესებას. შეიძლება ვინმეს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივს ამის კომპეტენცია არ აქვს და ჩვენ უნდა გავუშვათ, რასაც მოგვიტანენ და აზრიც არ უნდა გამოვთქვათ, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ“, — განაცხადა ვასილ მაღლაფერიძემ.

ამასთანავე, მაღლაფერიძის განმარტებით, სალომე ასათიანისა და გოგი გვახარიას გადაცემები კი არ დახურეს, არამედ ხელშეკრულება აღარ გააგრძელეს.

„როცა ამის დრო მოვიდა, უარი ვთქვით ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივ მაუწყებელს მხოლოდ უტყვი პლატფორმის ფუნქცია რჩება.

დეტალია, თუმცა, თვალსაჩინო, როდესაც ეს ორი გადაცემა გადის საზოგადოებრივზე, მას ორი ლოგო ადევს, რადიო „თავისუფლების“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის, ხოლო როდესაც იგივე გადაცემა მეორდება რადიო „თავისუფლების“ პლატფორმაზე, მას მხოლოდ რადიო თავისუფლების ლოგო ადევს და ჩვენი ლოგო მოხსნილია. რატომ? არ გამოვიჩინებით?! ცხადია, მხოლოდ ლოგოში არ არის საქმე, თუმცა, ლოგოშიცაა, საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა იყოს მხოლოდ გამტარი პლატფორმა... საზოგადოებრივი მზად არის, ყველა რესურსი გამოიყენოს ღია და სრულფასოვანი, პარტნიორობისთვის“, — აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.

ეკა ბესელია: ვსაუბრობთ ორი ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის ღია ეთერზე და არა კონფერენციაზე!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ეკა ბესელიას განცხადებით, პრეზიდენტის სასახლის შეთავაზება საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტზე მსჯელობისთვის, საკითხისადმი არასაკმარისი პატივისცემის დამადასტურებელია.

„რა ადგილზე მოხდება შეხვედრა, ის რომ ეს უნდა იყოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სასახლე — ეს ხომ უკვე საკითხისადმი არასაკმარისი პატივისცემის დამადასტურებელია, როცა ამაზე კეთდება აქცენტი.

საუბარია პირდაპირ ეთერზე. ჩვენ ხომ კონფერენციაზე არ ვსაუბრობთ, ჩვენ ვსაუბრობთ ორი ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის ღია ეთერზე და არა კონფერენციაზე, სადაც მოსაზრებები უნდა გაცვალოს რამდენიმე ათეულმა ადამიანმა. ეს ხომ სხვადასხვა რამეა საერთოდ“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

„პარლამენტის თავმჯდომარის დაჟინება სრულიად გაუგებარია...“

„სრულიად გაუგებარია პარლამენტის თავმჯდომარის დაჟინება, რომ გინდა თუ არა, პრეზიდენტთან პირდაპირ ეთერში უნდა იდებატოს“, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრმა გიორგი ახვლედიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, ვენეციის კომისიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიონ.

ევროპული შარი „უთავოდ“ ჩაატარებული ოპერაციის სანაცვლოდ

ევროპარლამენტმა აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. მასში საქართველოზეც არის საუბარი და არა მხოლოდ მუხთარლის საქმის აღწერის კონტექსტში, როგორც ევროკავშირში საქართველოს ელჩი გვიანონსებდა: http://accent.com.ge/ge/news/details/35490.

თუმცა თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** რეზოლუციაში კრიტიკულ შენიშვნებს ვერ ხედავს და ირწმუნება, რომ „ევროპარლამენტმა თქვა ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება და პრემიერ-მინისტრი ამბობენ“.

ანალიტიკოსები რეზოლუციას განსხვავებულად კითხულობენ. პოლიტოლოგ **ხათუნა ლაგაზიძის** შეფასებით,

„მოთხოვნის ტონი იშვიათად ფიქსირდება მსგავსი ტიპის დოკუმენტებში, ამდენად, ეს ძალიან მძიმე გამოწვევაა საქართველოს ხელისუფლებისთვის“.

„ხელისუფლება არანაირად არ ელოდა ასეთ რეაქციას. ზოგადად კი, მე ამ მოვლენებს ერთ კონკრეტულ „ქეისზე“ არ დავიყვან. მეტიც, აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და დემირელის კოლეჯის მენეჯერის (თურქეთის მოქალაქე, რომელიც საქართველომ თურქეთის მოთხოვნის საფუძველზე დააკავა და ამჟამად საექსტრადაციო პატიმრობაშია) საქმეებს ერთ მთლიანობად, სამეზობლო პოლიტიკის კონტექსტში განვიხილავს. საქმე იმაშია, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან 2 ათწლეულის განმავლობაში ძალიან ბევრი ფაქტორის გამო განიხილებოდნენ, როგორც ერთიანი სამკუთხედი, ერთიანი სტრატეგიული მონახაზი ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში. ეს ფაქტორები ეხება ენერგორესურსებს, პოლიტიკურ თუ სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობას. ბოლო წლებში თურქეთსა და აზერბაიჯანში განვითარდა ავტორიტარული ტენდენციები და ისინი დაშორდენ დასავლურ ღირებულებებს. მეორე მხრივ, ამერიკაში ახალი ადმინისტრაციის მოსვლამ რეგიონში ბევრი რამ შეცვალა. შტატების პრეზიდენტი აცხადებს, რომ მისთვის თუნდაც სტრატეგიული პარტნიორების შიდა საქმეები ნაკლებად მნიშვნელოვანია, — მთავარია, კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით ინტერესთა თანხვედრა მოხდეს. მანამდე დასავლეთი და შტატები ამ სამი ქვეყნის ურთიერთობაში არბიტრის როლში გამოდიოდნენ. წინააღმდეგობები ალბათ, წინა წლებშიც იყო, მაგრამ ზედაპირზე არ ამოსულა. ახალ რეალობაში კი საქართველო აზერბაიჯანსა და თურქეთთან ურთიერთობებში პირისპირ აღმოჩნდა და ამასთან, აღმოჩნდა სრულიად მოუმზადებელი ამ საგარეო პოლიტიკური გამოწვევისთვის“,— აცხადებს პოლიტოლოგი.

ლაგაზიძის აზრით, საქართველომ მეზობლებთან ურთიერთობის სწორი ფორმულა ვერ მოძებნა:

„გასაგებია, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქვეყნებია, მაგრამ საქართველომ ურთიერთობის სწორი ფორმულა ვერ მონახა. თუ საქართველოსთვის აზერბაიჯანი და თურქეთი მნიშვნელოვანია მათი ენერგორესურსებითა და ბაზრებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებისთვის თავად საქართველო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ახლა უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში და რომელსაც ასე ელოდება საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის საზოგადოება, პოლიტიკური და ეკონომიკური სპექტრი, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მომგებიანი აზერბაიჯანისა და თურქეთისთვისაა, ვიდრე საქართველოსთვის“.

პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქვეყანამ დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი შეინარჩუნოს, დასავლეთი კი ცდილობს, რეგიონში მისი საიმედო და ბოლო სტრატეგიული საყრდენი საქართველოს სახით გადაარჩინოს.

„დემოკრატიის კუთხით საქართველოს სამეზობლოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საქართველოს უნიკალურობა იმაშია, რომ ის რეგიონში შემორჩენილი ერთადერთი დემოკრატიული სახელმწიფოა და, ამავე დროს, სახელმწიფო, რომელსაც მისი საგარეო კურსისთვის არ უღალატია. ამ თვალსაზრისით ის მყარი პარტნიორია. თუ საქართველო დასავლეთისგან გაირიყება და აზერბაიჯანთან და თურქეთთან ვასალურ დამოკიდებულებას გააგრძელებს, ავტორიტარული სივრცე ჩაგვყლაპავს. ამას კი დასავლეთი არ დაუშვებს და ეს მძიმე რეზოლუციაც ამით არის განპირობებული. ვფიქრობ, გონიერი ხელისუფლებისთვის საქართველოს საზოგადოებისა და დასავლელი პარტნიორების პროტესტი დიდი კოზირია აზერბაიჯანთან და თურქეთთან ურთიერთობისთვის. მას აქვს აპელირების საშუალება იმისათვის, რომ ხვალ და ზეგ აზერბაიჯანმა და თურქეთმა საქართველოსგან ანალოგიური, ან უფრო მძიმე თუ უფრო მსუბუქი დათმობები არ მოითხოვონ“, — განაცხადა პოლიტილოგმა.

ანალიტიკოს **თორნიკე შარაშენიძის** შეფასებით, შექმნილ რეალობაში

საქართველო „უთავოდ“ გამოიყურება:

„სიმართლე ვთქვათ, მსგავსი ოპერაციები ხორციელდება ხოლმე. ახლა გამოვთქვამ ჩემს ვარაუდს, თორემ რა მოხდა, არ ვიცით. ერთი სახელმწიფო მეორეს სთხოვს, კონკრეტული პირი გადასცეს. ეს შეიძლება, ლამაზი არ არის, მაგრამ ხორციელდება. მაგრამ როდესაც მსგავსი ოპერაცია ასე უთავოდ ტარდება „პასპორტი ერთ ქვეყანაში რჩება, ადამიანი კი მეორე ქვეყანაში აღმოჩნდება, ბუნებრივია, პრობლემებიც იწყება. მე ვყვები იმ სცენარს, რომელიც რეალობასთან უფრო ახლოსაა. არ მგონია, აზერბაიჯანელები გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და ეს კაცი დაუკითხავად მოიტაცეს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ საერთოდ კატასტროფასთან გვაქვს საქმე: გამოდის, რომ აზერბაიჯანი, რომელიც ჩვენი პარტნიორია, არაფერს გვეკითხება! აქედან რომელი ვარიანტის არჩევა ჯობს? — ალბათ, ევროპარლამენტშიც ფიქრობენ, რომ პირველი უფრო რეალურია და აზერბაიჯანს თანამშრომლობის ფარგლებში მოქალაქე გადავეცით. აზერბაიჯანიც არ არის დემოკრატიის სავანე, ჟურნალისტებსა და ოპოზიციონერებს მაინცდამაინც კარგად არ ექცევიან და საქართველო, როგორც ევროკავშირთან დაახლოებული ქვეყანა, ბუნებრივია, ასე არ უნდა იქცეოდეს“.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს თბილისმა შექმნილ რეალობაში, როგორც შარაშენიძე ამბობს, „პრაქტიკულად, ჩვენ მინიმუმს გვთხოვენ“:

„ფაქტია, შარში გავეხვიეთ იმის გამო, რომ ვიღაცამ ოპერაცია „უთავოდ“ ჩაატარა. ახლა ევროპელები გვეუბნებიან, „ის მაინც ქენით, რომ ვინც ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, დასაჯეთო“. გამოსავალი იმაშია, რომ ვიღაც დაბალი რგოლი იპოვონ და მასზე გადატეხონ ჯოხი. მაგრამ იზამენ ამას? — გაურკვეველია. გამოდის ხელისუფლებიდან სამი—ოთხი ადამიანი, რომლებიც აბსოლუტურ სასწაულებს გაიძახიან და ეს კიდევ უფრო აფუჭებს სიტუაციას. მას შემდეგ, რაც ბერრა ივანიშვილი „პოსტავს“, ყველას პოზიცია რადიკალურად იცვლება და უკვე დიდი ხანია, ამ კომედიაში ვცხოვრობთ“.

განსხვავებული პოზიცია აქვს საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტ **გიორგი გოგრონიძეს:**

„რამდენადაც ინფორმირებული ვარ, სისხლის სამართლის საქმე ჩვენთან სსკ-ის 142-ე, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით არის აღძრული, რაც თავის თავში მოიცავს გატაცებას. რეალურად რომ ვთქვათ, ქართული სახელმწიფო განსხვავებულ ვერსიაზე არ მუშაობს. ამაზე ადრეც ვისაუბრე, http://accent. .com.ge/ge/news/details/35187 **რომ თავად ეს სიტუაცია ქართული სახელმწიფოსთვის კომფორტული არ არის. პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოს ინტერესია, რომ დროულად მოხდეს საქმის გამოძიება და დროულად გაეცეს კითხვებს პასუხი. ამ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებაში კითხვები ობიექტურად ჩნდება. თავად რეზოლუციაც რომ შევაფასოთ, აქ ცალსახად არ არის საუბარი იმაზე, რომ თავად ქართული მხარეა რაღაცაში დამნაშავე, უბრალოდ ქართული მხარისგან ელოდებიან კითხვებზე პასუხს“,**— განაცხადა გობრონიძემ.

რაც შეეხება რეზოლუციაში დაფიქსირებულ დეტალებს, რომ საქართველო ვალდებულია, არ დაუშვას პირის იმ ქვეყანაში ექსტრადიცია ან დეპორტაცია, სადაც მას საფრთხე დაემუქრება და შენიშვნებს ბინადრობის დოკუმენტთან დაკავშირებით, გობრონიძის თქმით, ევროპარლამენტი ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტიდან ამოდის, თუმცა სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი:

„აზერბაიჯანში არსებული ვითარებიდან გამომდინარე დასავლური საზოგადოება იქ მიმდინარე პროცესებს მაინცდამაინც დადებითად არ აფასებს და აქ ისეთი არაფერია, რაც ევროპულ კონვენციაში არ წერია: არ შეიძლება ადამიანების რაიმე ნიშნით დევნა და თუ მათ ემუქრებათ რაიმე სახის საფრთხე, არ უნდა მოხდეს ექსტრადიცია ან დეპორტაცია. ევროპული საზოგადოება ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტებიდან ამოდის. აქ მნიშვნელოვანია, ისიც გავითვალისწინოთ, რომ მთლიანობაში ეს ვითარება ქართულ მხარეს რთულ პოზიციაში აყენებს და ქვეყანას გავლა დიპლომატიურ „ბეწვის ხიდზე“ უწევს. აქ ფსონზე დგას ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები; საქართველოს ევროპული პოლიტიკა. ძალიან მნიშვნელოვანია, ქართულმა დიპლომატიამ ამ რთული ვითარებიდან იმგვარი გამოსავლის პოვნა შეძლოს, რომ არც ერთი და არც მეორე დააზარალოს, ხოლო თუ იქნება ზარალი, ის იყოს მინიმალური. ეს ჩვენი სახელმწიფოს გამოწვევაა. ნებისმიერი განცხადების მიღმა უნდა ვეძებოთ გზა, როგორ დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესი. ევროპელების აღშფოთებაც და მოწოდებებიც გასაგებია, მაგრამ აქ ის მნიშვნელვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რა პრობლემის წინაშე შეიძლება იდგეს საქართველო, თუ იგი ერთ ან მეორე მხარეს გადადგამს რადიკალურ ნაბიჯებს. ეს რთული მომენტია და ეს ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობაცაა და წყევლაც. ამ სივრცეში, ამ რეგიონში, ამ მეზობლებთან არსებობა გვიწევს და გვიწევს რაღაცებში მათი ინტერესის გათვალისწინება,“ — განაცხადა გობრონიძემ.

დიანა მუსელიანი.
„აქცენტი“

ამოღებულია ყველა ვიდეოკამერის ჩანაწერი და პოლიციისტანსაცმლიანი ადამიანის მოძრაობა საერთოდ არ ფიქსირდება

შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმეში ქართველი სამართალდამცველების მონაწილეობას გამორიცხავს. „პრაიმ ტაიმთან“ ინტერვიუში მღებრიშვილი აცხადებს, რომ მიმდებარე ტერიტორიიდან ყველა სათვალთვალო კამერის ჩანაწერია ამოღებული და პოლიციისტანსაცმლიანი ადამიანის მოძრაობა არ ფიქსრიდება:

„მინდა ცალსახად გამოვრიცხო, რომ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეში შსს-ს თანამშრომლები იყვნენ ჩართულნი. საერთოდ, როგორ ფიქრობთ, მოვლენათა ყველაზე წარმოუდგენელი განვითარების შემთხვევაშიც, კრიმინალური პოლიცია, თავისი ფორმით, იტაცებს ადამიანს დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში და ამას ვერავინ ხედავს. ამ ვერსიას თეორიულადაც კი ვერ დავუშვებ.ამასთან ჩვენ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ამოვიღეთ აფგან მუხთარლის მიერ ადვოკატისთვის დასახელებულ ლოკაციებზე და ყველა სავარაუდო მარშრუტზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, გამოვკითხეთ უამრავი პირი... დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ პოლიციისტანსაცმლიანი ადამიანის მოძრაობა მიმდებარე ტერიტორიებზე დროის მოცემულ მონაკვეთში საერთოდ არ ფიქსირდება“. — აცხადებს მღებრიშვილი.

სოსო ცისკარიშვილი: რუსეთის გეგმაში შედის, იყიდოს საქართველო

საქართველოს პარლამენტმა უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებას მხარი პირველი მოსმენით დაუჭირა. კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების ძალაში შესვლამდე, იმ მუხლების მოქმედება ჩერდება, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადასვლის საკითხს ითვალისწინებს. მიწის გასხვისებაზე მორატორიუმი რამდენჯერმე შევიდა ძალაში და გაუქმდა. ბოლოს მორატორიუმი გასულ წელს მოიხსნა. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ მორატორიუმი საკმარისი არ არის, რადგან საფრთხე გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

— **ნათქვამია**, ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, ამ სიტუაციაში ვართ. გაცილებით მეტ საფრთხეს ვხედავ რუსეთის დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ. რამდენჯერმე მოვისმინე სატელევიზიო დისკუსიები რუსული ტელეარხებიდან, სხვადასხვა პოპულარული სახეების მონაწილეობით. როდესაც დისკუსიის დროს საქართველოს სახელი გაიჟღერებდა, საუბრობდნენ იმაზე, რომ არ არის აუცილებელი საქართველოსთან ომის დაწყება, „ჩვენ შეგვიძლია, ვიყიდოთ საქართველო“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე რამდენჯერმე ვისაუბრე მედიაში, არანაირი რეაგირება არ მომხდარა ხელისუფლების მხრიდან და როდესაც საუბარია, რომ უცხოელებს უნდა მივყიდოთ ყველაფერი, მაგონდება, ახალი მთავრობა როგორი რიხით გვეუბნებოდა პირველივე სხდომაზე, როდესაც ის პარლამენტს წარუდგინეს, რომ ახლა აუცილებლად უნდა გავყიდოთ საქართველოს რკინიგზის 24% ლონდონის ბირჟაზე - საინტერესოა, ამას ტუნისი იყიდის თუ გვადელუპე — რასაკვირველია - მოსკოვი. ასევე საუბარი იყო, რომ გაზსადენი, რომელიც არის სიმბოლო ჩვენი გეოპოლიტიკური განსხვავებულობისა რეგიონში, უნდა გავყიდოთ შანხაის ბირჟაზე.

არ ვიცი, გეოგრაფიას გვასწავლიდა ეს მთავრობა, თუ მართლა ასეთი განწყობა ჰქონდა და აპირებდა შთამომავლობისთვის მოგვესპო ის სიკეთე, რასაც დღეს ვფლობთ — ამაზეც რაიმე სერიოზული სჯაბაასი არ მომხდარა.

ნუთუ გაუჭირდება რუსეთს, შეიძინოს იმ გაზსადენების 25%, რომლითაც საქართველოს გავლით სომხეთს აწვდის გაზს? სულ მალე ამ 25%-ს 95%-ად ვერ აქცევს? მით უმეტეს, როდესაც ჩვენს თვალწინ, ქართულ სახელმწიფოში ფასეულობათა ჩამონათვალის პირველ ადგილს უკვე ეკეკლუცება ერთი სიტყვა — ფული. არც პატრიოტიზმი, არც პროფესიონალიზმი — ფული, ფული, ფული! — კარგია, რომ ეს ასე არ მოხდა და ჩვენი სიმდიდრე არ გაიყიდა.

რაც შეეხება რკინიგზასა და გაზსადენს, ეს თემები ახალი არ არის, ჯერ შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც იგეგმებოდა ამ ობიექტების გასხვისება, თუმცა შემდეგ შეჩერდა... თუმცა სხვა ქართული საწარმოები და მიწები უკვე გაყიდულია რუსულ კომპანიებზე და ეს უკვე შემდგარი ფაქტია...

— შევარდნაძისდრიონდელ და სააკაშვილისდროინდელ პრობლემებს ერთმანეთს ვერც შევადარებთ, რადგან შევარდნაძესა და ელცინს შორის დაპირისპირებაც იყო მილსადენთან დაკავშირებით, მაგრამ შევარდნაძემ მაინც მოახერხა პარტნიორი ქვეყნების დახმარებით ამ იდეის ხორცშესხმა.

— რაც შეეხება სააკაშვილის პერიოდს, ეს ბენდუქიძის იდეა იყო, მაგრამ გამხმოვანებელი აღმოჩნდა პარლამენტის იმდროინდელი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ლაშა თორდია. ექსპერტებსაც კი გვარწმუნებდა, რომ გაზსადენის გასხვისება მისი იდეა იყო — ესეც გადავიარეთ, რადგან აშშ-მა შევარდნაძის მმართველობის მიწურულს გამოგვიყო გაზსადენის რეაბილიტაციის თანხები, თუმცა იყო პირობა, რომ 5 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას მისი პრივატიზაციის თემა არ უნდა წამოეწია. გავიდა თუ არა ეს 5 წელი, ეს საკითხი მაშინვე გააქტიურდა, მაგრამ იმ მიზეზით, რომ აშშ არ გაენაწყენებინათ, ვერც ერთმა კომპანიამ ვერ გაბედა მისი შეძენა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ის მხოლოდ ინვესტიციებსა და შემოსავლებზეა ორიენტირებული და ცდილობს, გაყიდოს ის სიმდიდრე, რომელიც არც ერთი ხელისუფლების არ არის. მაგრამ ვინც აპირებს, ხალხის სიმდიდრე გაანიავოს, მას დიდი მომავალი არ ექნება.

ჩვენი „სუსი“ სამუდამოდ უნდა გაისუსოს!

უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ მხარეს ან სურვილი არა აქვს, ან ცოდნა არ ჰყოფნის, რომ ინვესტორებთან შესაბამისი კონტრაქტები დადოს. ისინი ყოველთვის ხელს აწერენ მეორე მხარის მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას

რაც შეეხება მიწებს, კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებამდე დღის წესრიგში დადგა მორატორიუმის გამოცხადების თემა. რამდენად მოიხსნება მთავარი პრობლემა?

— უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ მხარეს ან სურვილი არა აქვს, ან ცოდნა არ ჰყოფნის, რომ ინვესტორებთან შესაბამისი კონტრაქტები დადოს. ისინი ყოველთვის ხელს აწერენ მეორე მხარის მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას. „თელასის“ დროსაც გვიხაროდა, რომ ჩვენი პრობლემა აშშ-ის კომპანიამ აიღო თავზე. მათ კი ისე გაყიდეს, არც უკითხავთ საქართველოსთვის გამოსყიდვა ხომ არ სურდა. ახლა კი რუსული კომპანია ევროსასამართლოს მეშვეობით თანხებს მოითხოვს საქართველოსგან.

— მაინც სისუსტე მგონია და არა მოღალატეობა - ისე ვყიდით რაღაცას, რომ ვინ რა პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას იღებს საკუთარ თავზე, უცნობია საზოგადოებისთვისაც, რომელსაც აქვს უფლება თვალყური ადევნოს, ვინ როგორ განკარგავს ამ ქონებას.

— რაც შეეხება მორატორიუმს, იმ სიტუაციისთვის რაც გვაქვს, ეს სიტყვა შეუფერებელი მგონია, რადგან ეს დროებით შეჩერებას ნიშნავს. საფრთხე არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, არამედ არასასოფლო-სამეურნეო მიწებსაც ეხება.

ჩვენი ძირითადი საფრთხე გახლავთ ჩვენი დაუძინებელი „მეგობარი“ და ისტორია გვასწავლის, რომ თუ საშუალება მიეცემა, შეუძლია, ერთი ხელის მოსმით შეისყიდოს ყველაფერი.

როდესაც საუბარია ინვესტიციაზე, ხელშეკრულებაში არ უნდა იყოს საუბარი იმაზე, რომ ინვესტორი ხდება მიწის მფლობელი. მას უნდა ჰქონდეს საშუალება, იქირაოს მიწა 49 ან 79 წლით, მაგრამ მიწა იყოს საქართველოს საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიძებნება გზები ამ მიწების გასხვისების. მაგალითად, ქართველი მანდილოსანი თუ იქორწინებს სხვა ეროვნების ადამიანზე და შეიძენს მიწას, უცხოელები მაინც მოახერხებენ მიწის ყიდვას.

თუ არა და, რუსები მუდამ მზად არიან, იყიდონ ჩვენი მიწები, იმდენად „უყვართ“ საქართველო. საბჭოთა კავშირის დროს უამრავი რუსი ჩინოვნიკი ჩამოდიოდა სხვადასხვა ღონისძიებაზე და არასოდეს ერთი სიტყვა ქართულად არ დასცდენიათ.

უკანასკნელ ხანებში უკვე რამდენიმე მოქალაქე, რომელსაც ქართული ენა გაახსენდა, ხშირად ჩამოდის ხოლმე, მედიის ვიწრო წრის თანდასწრებით საუბრობენ, როგორ უყვართ საქართველო. ალბათ, კიდევ უფრო შეუყვარდებათ, როდესაც რუსეთი თავის მზაკვრულ გეგმებს განახორციელებს.

საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი უცხოელი მიიჩნევს, რომ მორატორიუმის გამოცხადებით კიდევ უფრო გაიაფდება მიწა და უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გახდება...

— მიწის ფასი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, თუკი ის სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება. მაგრამ თუ სასწორზე გვინდა დავდოთ თემა საქართველოს მიწის გაიაფება თუ გარუსება, ვფიქრობ, არჩევანის გაკეთება არ უნდა გაგვიჭირდეს.

თუმცა ნაციონალები გვაშინებენ, რომ გაიაფებულ მიწას ივანიშვილი და კალაძე იყიდიან. ამ შემთხვევაში ნაციონალებს რა ამოძრავებს?

— მათ ამოძრავებთ სწორედ ის ფასეულობა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ — მაგრამ არა უშავს, უკვდავი არაფერია, გარდა ქართული სახელმწიფოსი და ამას უნდა გავუფრთხილდეთ.

ნებისმიერი ქართველი, როგორც არ უნდა იყოს თვალდაბნელებული სიმდიდრით, ვერ ავნებს თავის სახელმწიფოს, თუ მისი მოქალაქენი ჰიპნოზირებულები არ იქნებიან ფულით.

— თქვენ ახსენეთ რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ჩამოდიან და საერთო ენას ეძებენ გარკვეულ წრეებთან — ხელისუფლებისთვის ეს ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთს მხოლოდ საქართველოს მიმართ არა აქვს ეს პოლიტიკა და სხვა ქვეყნებშიც მსგავსი სიტუაციაა... ჩვენთვის რამდენად დიდია საფრთხე?

— მერე რა, რომ ჩვენ ცუდად ვართ, სხვებიც ხომ ცუდად არიან — არ შეიძლება ამ პოლიტიკით სახელმწიფოს მართვა. თანდათან მკაფიო ხდება საჭიროება ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციისა, რისი ნიშნებიც მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციებში გამოჩნდება ხოლმე. იმედისმომცემია ის ფაქტი, რომ ეს მუხტი, თუნდაც დაფარული, ჩვენს ახალგაზრდობას გააჩნია.

რაც შეეხება საფრთხეს, ჩვენ კი არ უნდა ვსაუბრობდეთ საფრთხეებზე, ხელისუფლება თავად უნდა გვიყვებოდეს, რა რიტორიკაა რუსულ მედიაში და როგორ მზადყოფნაში არიან, მხოლოდ მიწა კი არა მთელი ქვეყანა შეისყიდონ. თუ ეს ნაწყვეტები ტელეგადაცემებისა არ დევს ჩვენი არაფორმალური თუ ფორმალური მმართველების მაგიდებზე, მაშინ სუს-ი სამუდამოდ უნდა გაისუსოს.

— ვხედავთ, რა სიტუაციაც არის, მაგრამ რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ ხელისუფლებისგან მიიღოს ის, რისთვისაც ხმა მისცა და აირჩია?

— მიწის კანონი უნდა მივიღოთ. რამდენიმე ვერსია არსებობს საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტებისგან, რომლებთანაც დისკუსიისაც კი ერიდებათ სახელმწიფოს წარმომადგენლებს და ამ დარგის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესორები მხოლოდ სტატიების წერით შემოიფარგლებიან, რადგან უფრო ფართო საზოგადოებისთვის მათი ხმის მიწოდება არ შედის სახელმწიფოს ინტერესებში.

ესაუბრა
ლალი ზირაძიშვილი

◎ ნაპრალი იზრდება

რატომ არ სარგებლობენ აფხაზები და ოსები საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული უვიზო რეჟიმით?

ქართველები, აფხაზები და ოსები იშვიათად და მცირე ჯგუფებით, მაგრამ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ერთმანეთთან შეხვედრას მაინც ახერხებენ. ასეთი კონტაქტის დროს ახალსა და ძველ ამბებს, პირად შეხედულებებს, ნათესაურ და პოლიტიკურ ამბებს ერთმანეთს უცვლიან. ყველაზე ხშირად რასაც „აღმოაჩენენ“ კი ის გახლავთ, რომ ერთმანეთის საერთო სურვილები და საჭიროებები ხშირად ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებებს სხვადასხვაგვარ რეალობაში უწევს განვითარება.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების და განსაკუთრებით კი შენგენის ქვეყნებთან თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობის მიღების შემდგომ, აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვისაც ანალოგიური წინადადებები იქნა შეთავაზებული. მიუხედავად ამისა, ქართული პასპორტის აღების მსურველთა რაოდენობა განსაკუთრებულად არ გაზრდილა.

თამარ თოლორდავა, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური შეხვედრების რამდენიმეგზის მონაწილე და ილიაუნის სოციალური მოძრაობების შემსწავლელი კვლევების ცენტრის კოორდინატორი „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ასეთ ვითარებას იმით ხსნის, რომ იოლი არაა, მტრისგან განათლების უცხოეთში მიღების წინადადებაზე თანხმობა განაცხადო — აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვის ქართველები ხომ დღემდე მტრებად რჩებიან:

კითხვაზე, უცხოეთში განათლების მიღების თაობაზე და არის თუ არა ამგვარი დაკვეთა აფხაზური საზოგადოებიდან იმდენად, რამდენადაც ამგვარ შესაძლებლობასაც იძლევა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, იგი შემდეგნაირად პასუხობს: „განათლებაზე არის დაკვეთა. მე ხშირად შემინიშნავს სინანული მათ თვალებში, როდესაც მითქვამს, რომ განათლება დასავლეთში მივიღე. აფხაზი და ოსი ახალგაზრდები სასწავლებლად მიდიან, უმეტესწილად, რუსეთში. რასაკვირველია, კარგი იქნება, თუ უცხოეთში განათლების მისაღებად უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას გამოიყენებენ“.

მედეა ტურაშვილმა, ომბუდსმენის მრჩეველმა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში, ჰაინრიხ ბიოლის ფონდში შეხვედრის დროს ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს შორის მსგავსებასა და განსხვავებებზე საუბრისას აღნიშნა, რომ მომავალზე ორიენტირებულობის საკითხი წყალგამყოფია. დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ადამიანები მომავლის გარკვეულ პერსპექტივებს ხედავენ, გეგმებს სახავენ, აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრები ადამიანები კი ძირითადად, კვლავ ომის კონტექსტში მოიაზრებენ საკუთარ თავს.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეხვედრის მონაწილეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ დე ფაქტო რესპუბლიკებში მცხოვრებ ადამიანებს ყოფით და ყოველდღიურ თემებზე საუბარიც კი უმძიმთ. მუდმივი შიშის განცდა თითქოს მათი განუყრელი თანამგზავრია. ხელისუფლების გადაწყვეტილებებს იქ ღია პროტესტით ვერავინ შეხვდება, თუმცა არის გამონაკლისებიც — მაგალითად, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობით ახსნა და აბორტის ამკრძალავი კანონი შემოიღო, ადგილობრივმა საზოგადოებამ საკუთარი უკმაყოფილება დააფიქსირა. „ღია წყაროებიდან და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ვიცი, რომ დიდი უკმაყოფილება იყოს აბორტის აკრძალვის გამო, როგორც არასამთავრობოების, ისე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. პრეტენზია იმაზე ჰქონდათ, რომ კანონი ისე მიიღეს, არავის არაფერი ჰკითხეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები ამბობდნენ, ჯანმრთელობის კუთხით ეს არაა კარგი კანონი, მაინც იქნა მიღებული. დიდი აჯანყება არ ყოფილა, მაგრამ პარლამენტი გააკრიტიკეს. ეს იყო პოპულისტური ნაბიჯი აფხაზი პოლიტიკოსების მხრიდან, რადგან დაიწყეს აპელირება დემოგრაფიულ მდგომარეობაზე“.

ნინო ბალოიანი წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის გორის ოფისის ფსიქოლოგი ამერიკის ხმასთან ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური შეხვედრების შესახებ საკუთარ დაკვირვებებს გვიმხელს: **„აფხაზ და ოს მონაწილეებში შეხვედრებზე უფრო მეტ კომპლექსს ვიჭერ. თითქოს ურთიერთობა უნდათ, მაგრამ ეშინიათ. პირველი ნაბიჯის გადადგმის შიში აქვთ. ჩვენ თავისუფლად მივდიოდით შეხვედრებზე, გახსნილად ვესაუბრებოდით. თვითონაც მეგობრულად მიგვიღეს შემდგომ და კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, თუმცა თავდაპირველად ღიაობა ნამდვილად არ დაუფიქსირებიათ“.**

ხელოვნური ბარიერებით, მავთულხლართებითა თუ მძიმე ყოველდღიურობის მიზეზით ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს შორის მენტალური ნაპრალი თანდათან იზრდება. ეს ფაქტორი კი სხვებთან ერთად, თავისთავად შემაფერხებლად იმოქმედებს მომავალში სრულიად ბუნდოვანი „შერიგების“ პერსპექტივის თვალსაზრისით.

◎ ნაყოფიერი ეკონომიკური ურთიერთობა

„ყაჩაღანის“ ნავთობის ექსპორტი საქართველოს გავლით გაიზრდება

ყაზახეთის ტელეკომპანია „Astana TV“-ის საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამაში გადაიცა ინტერვიუ საქართველოში ყაზახეთის ელჩთან ერმუჰამბეთ ერთისბაევთან, რომელშიც იგი ტელეჟურნალისტ კარიმა კურალოვას ყაზახეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობასა და მის პერსპექტივებზე ესაუბრება.

ტელეჟურნალისტის კითხვაზე, თუ რატომ კლებულობდა 2008-2012 წლებში ვაჭრობის მოცულობა საქართველოსა და ყაზახეთს შორის, ყაზახი დიპლომატი ამბობს, რომ დეტალურად იქნა გაანალიზებული მიზეზები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ერთიანი სარკინიგზო ტარიფების დაწესება. **„ქართულ მხარესთან მოლაპარაკებისა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმების შემდეგ ვაჭრობის მოცულობა ბოლო წლებში თანდათან მატულობს. უფრო მეტიც — აშკარად შეინიშნება ყახაზური ექსპორტის დომინირება“,** — აღნიშნავს ელჩი.

ყაზახი დიპლომატი აღნიშნავს საქართველოს სპეციფიკას: **„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეკონომიკაში ყაზახეთმა ძალიან დიდი ინვესტიციები დააბანდა. ამ დღეებში ასტანაში პრეზიდენტების — ნურსულთან ნაზარბაევისა და გიორგი მარგველაშვილის შეხვედრის დროს ამ ფაქტზე აქცენტი იქნა გაკეთებული. ქართველმა ლიდერმა განაცხადა, რომ ქართულ ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიციები ყახაზეთს უკან დაუბრუნდებოდა. სხვათა შორის, ყახაზეთმა საქართველოს ინვესტირება თბილისისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში დაიწყო. ჩვენი ფული საქართველოს ეკონომიკას ძალიან დაეხმარა. ვთქვათ, თბილისში ყოფნისას, ტურისტები აღფრთოვანებულნი შესცქერიან სასტუმრო „რედისონის“ შენობას, ასევე ბათუმში. ყაზახური ინვესტიციებით აგებული კომფორტული სასტუმრო ბათუმის სანაპირო ბულვარში მდებარეობს და სხვა შენობებისაგან აშკარად გამოირჩევა“.**

ერმუჰამბეთ ერთისბაევის აზრით, **ქართველმა მილიარდერმა, ბიზნესმენებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ყაზახეთის ნავთობსა და გაზს. იგი საუბრობს აგრეთვე კომპანია „ყაზტრანსოილის“ მიერ ბათუმის, ფოთისა და ყულევის სატვირთო ნავსადგურების გამოყენების შესახებაც: „რასაკვირველია, ხსენებულ პორტებში აზერბაიჯანელებთან კონკურენცია რთულია და ყველაფერი მენეჯმენტსა და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული. ჩვენმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის დროს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ „ყაჩაღანის“ საბადო უკვე ამუშავდა. დღეს უკვე არის 80 მილიონი ტონა ნავთობი, იქნება 100 და მეტიც. ყაზახეთი დაინტერესებულია ტრანზიტით, ბათუმის პორტის უკეთ სარგებლობით და საქონელბრუნვის მატებით“,** — ხაზი გაუსვა დიპლომატმა ინტერვიუში.

ბრიუსელმა ყირიმს სანქციები გაუგრძელა

გასულ წელს დაწესებული სანქციების ვადა 23 ივნისს იწურებოდა. ბრიუსელის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის ქვეყნებს ყირიმთან ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობა და ინვესტიციების განხორციელება ეკრძალებათ.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ავიალაინერი

ავიაკონცერნმა Airbus-მა მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ავიალიანერის Airbus A380-ის ახალი მოდელი წარადგინა.

Airbus A380plus-ზე 933 ადგილი იქნება, ანუ 80 ადგილით მეტი ვიდრე ავიალიანერის სტანდარტულ ვერსიას აქვს. ეკონომკლასში სავარძლები განლაგებულია სქემით 3-5-3, სულ 11 რიგად.

ავიალიანერის ფრთების ახალი კონსტრუქცია ფრენის ხარჯებს 4%-ით შეამცირებს, რის ხარჯზეც ავიაბილეთების გაიაფებაც მოხდება. სტანდარტულ A380-ს დაჯდომის გარეშე 15,4 ათას კილომეტრამდე დაფარვა შეუძლია. აღნიშნული ტიპის საჰაერო ხომალდით უკვე სარგებლობს 13 ავიაკომპანია.

საფრანგეთის პარლამენტს 223 ქალი დეპუტატი ეყოლება

საფრანგეთში პარლამენტში ქალები სარეკორდო რიცხვით შევლენ. გავრცელებული ინფორმაციით, მომავალ საკანონმდებლო ორგანოში 223 ქალი მოხვდება. ისინი სადეპუტატო მანდატების 38 პროცენტს მიიღებენ. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური საფრანგეთში გუშინ გაიმართა და მაკრონის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. „წინ რესპუბლიკა“ პარლამენტში უმრავლესობით შევა.

მსოფლიოში ლტოლვილთა რაოდენობამ 65 მილიონს გადააჭარბა

2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 65,5 მილიონს გადააჭარბა. საგანგაშო სტატისტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აქვეყნებს. 2015 წელთან შედარებით ლტოლვილთა რაოდენობა გასული წლის ბოლოს 300 ათასით იყო გაზრდილი, რაც უპრეცედენტო მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. ლტოლვილთა ძირითადი ნაწილი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაზე მოდის.

იემენში ხოლერამ 1054 ადამიანი იმსხვერპლა

ქვეყნის ჯანდაცვის უწყება საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს. ოფიციალური ინფორმაციით, ეპიდემია ქვეყნის 22 რეგიონიდან 20-შია გავრცელებული. ინფიცირებულთა რაოდენობა 151 000-ს აჭარბებს. ორწლიანმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა თითქმის მთლიანად მოშალა. ადგილობრივ კლინიკებში მედიკამენტების მწვავე დეფიციტია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 11 აგვისტოს 12 საათზე ქ. ქუთაისის დ. აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის შენობაში (მისამართი: სამტრედია, სოფელი ჯიხაიში) გაიმართება „ქ. ქუთაისის დ. აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა.

• საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №6;

• სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15;

ა(ა)იპ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიის“ ოფისში-

ქ. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ.№4.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

• ნინო ჩობანიანი. ტელ: 591 199 149; E-mail: nino.chobaniani@railway.ge;

• გია ჟორჟოლიანი. ტელ: 577 46 64 46; E-mail: g.zhorzholiani@iceia.org; info@iceia.org;

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 10 აგვისტოს, 14 საათზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1) გაიმართება სადმელი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. რიცეულას ხეობაში 4.450 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1;
- შპს „იბერჰესი“-ს ოფისში -ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ა;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. ელ. ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „იბერჰესი“-ს ადმინისტრაცია

გ ე ო ჰ ო ლ დ ი ნ გ ი

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

◎ დედაქალაქი

„მარილმოუყრელი“ სიკეთე

ზღვის უბნის დასახლების მე-11 მიკრორაიონის პირველ კვარტალში განთავსებული მთავარი ჰოსპიტალის „ღია გულის“ მე-5 კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობის თაობასა და იქაურობის ტრამვაის ძველი ლიანდაგებისგან გაცლის ამბავი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ორიოდე კვირის წინათ გიამბეთ.



ეს ნამდვილად სასიკეთო ამბავია და ამის გამო რაიონის გამგებლობასაც ქათინაური მოვახსენეთ, მაგრამ ყველა სასიკეთო საქმეს ბოლომდე მიყვანა რომ უნდა, როგორც ჩანს, მუნიციპალურ ჩინოსნებს დაავიწყდათ. რამდენიმე ტონა ფოლადის ლიანდაგი რომ გაზიდეს, ეს, თავისთავად, კარგი კია, მაგრამ დიდად გასაკვირი არ არის: ეს ფოლადი, მოგეხსენებათ, ფული ღირს...

მაგრამ, აი, როდის უნდა გაიტანოს შესაბამისმა სამსახურმა ჩინოსნების აზრით ტრამვაის ხაზის ელექტრობოძის გადაჭრილი, რამდენიმე ასეული კილოგრამის წონის ძირი საავადმყოფოს მოპირდაპირე მხრიდან, ჩინოსნებმა იქნებ ესეც გაგვაგებინონ...

დალი ხუნდაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

დროებითი დისკომფორტის ზაფხული

დიდი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების ზაფხული უდგათ პეკინის ქუჩისა და რამდენიმე მიმდებარე უბნის მცხოვრებთ — იცვლება მოძველებული წყალგაყვანილობა, გაზსადენები, სატელეფონო და ელექტროკაბელები, წყალარინების სისტემა, გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების ასფალტი, ბორდიურები.

ქალაქის მასშტაბით ამ მეტად დიდ მშენებლობას, ბევრისგან განსხვავებით, უპირველესად, ის გარემოება გამოარჩევს, რომ საავტომობილო მიმოსვლისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ქუჩაზე მოძრაობა, მართალია სექტემბრამდე ცალმხრივი იქნება, მაგრამ მაინც არ შეწყდება.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება კი ისაა, რომ საკმაოდ სერიოზული დისკომფორტის მიუხედავად, რაც დიდი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებითაა გამოწვეული, მოსახლეობას კომუნალური მომსახურების მხრივ არანაირი შეფერხება არ შეექმნება. საქმე ისაა, რომ ახალი კომუნიკაციები ძველების პარალელურად გაჰყავთ, რომლებსაც მხოლოდ მაშინ გააუქმებენ, როცა ახლები ამოქმედდება.

სამუშაოები პეკინის ქუჩაზე 10 სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

პარკირების ახალი სტიკერების გაცემა დაიწყო

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკირების საცნობი ახალი ნიშნების გაცემა დაიწყო.

შშმ პირები ახალ სტიკერებს უფრო მარტივი და მოსახერხებელი სისტემით მიიღებენ. სტიკერები უშუალოდ შშმ პირებს გადაეცემათ. მათ ყოველი მგზავრობისას შეეძლებათ, სტიკერი განათავსონ იმ ავტომობილზე, რომლითაც ისარგებლებენ.

ახალი ნიშნის მისაღებად სრულწლოვანმა შშმ პირმა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმით გაცემული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისა ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი ცნობა და პირადობის მოწმობა უნდა წარადგინოს, ხოლო არასრულწლოვანი შშმ პირის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებასა და დაბადების მოწმობას ჯანდაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული ცნობა უნდა დაურთოს.

შშმ პირებმა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის ნაცვლად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა შეიძლება წარადგინონ.

ტრანსპორტის სამსახური ახალ სტიკერს საბუთების იდენტიფიკაციისთანავე გასცემს. სრულწლოვანი შშმ პირები საცნობ ნიშნებს 3-წლიანი ვადით მიიღებენ, ხოლო არასრულწლოვანი — 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

◎ რაგბი

შარშანდელი შედეგი გაიმეორეს

20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა შარშან მე-10 ადგილი დაიკავა. ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ შედეგის გაუმჯობესება ამჯერად საკუთარი კედლების დახმარებითაც ვერ შეძლეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა ჯგუფში სამივე შეხვედრა დათმეს, შემდეგ პლეი-ოფში არგენტინას აჯობეს და უმაღლეს დივიზიონში ადგილი დაიბევეს, მეცხრე-მეათე ადგილებისთვის კი პირველობის ბოლო დღეს ირლანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ. ანგარიში სტუმრებმა მე-20 წუთზე ლელოთი გახსნეს და გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს — 7:0. შვიდი წუთის შემდეგ აფრასიძემ ჯარიმით სხვაობა შეამცირა, 31-ე წუთზე კი „ბორჯღალოსნები“ გავიდნენ წინ — 10:7. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების მერე ირლანდიელები გააქტიურდნენ და საბოლოოდ 24:18 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორედ დაიკავა მე-10 ადგილი.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეექვსედ ავიდა ახალი ზელანდიის ნაკრები, რომელმაც ფინალში ინგლისელებს წარმატების ყოველგვარი შანსი პირველ ტაიმშივე გადაუწურა, როცა 40:7 დაწინაურდა. უპირატესობა შესვენების შემდეგაც „ბეიბი ბლექსის“ მხარეს იყო და ზელანდიელებმა საბოლოოდ 64:17 გაიმარჯვეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა საფრანგეთის გუნდს სძლია 37:15, არადა, ჯგუფური ტურნირისას ამ გუნდების შეხვედრა დრამატულად წარიმართა — ახალგაზრდა „ქურციკები“ მარცხისგან (ის მატჩი 23:23 დასრულდა) ბოლო წუთზე გატანილმა გარდასახულმა ლელომ იხსნა.

* * *

ივნისის ტესტები. აშშ — საქართველო 17:21.

თამაზ პატარიძე

◎ ჭადრაკი



ჩემპიონებმა მძიმედ დაიწყეს

სანტი-მანსიისკში დაწყებულ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 10-10 ნაკრები მონაწილეობს წრიული სისტემით. უკვე გათამაშდა ორი ტური. მანდილოსანთა ტურნირი არცთუ სახარბიელოდ დაიწყეს წინა პირველობის გამარჯვებულმა ქართველმა დიდოსტატებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, კაპიტანი დავით ჯოჯუა): ისინი პირველ ტურში ინდოელებს დაუზავდნენ, ხოლო მეორე ტურში პოლონელებთან გაიყვეს ქულა. ამ სამი გუნდის გარდა ჩემპიონატში, ასევე, მონაწილეობენ რუსები, ჩინელები, უკრაინელები, ვიეტნამელები, ამერიკელები, აზერბაიჯანელები და ეგვიპტელები.

I ტური. ინდოეთი-საქართველო 2:2 (ჰარიკა დრონავალი — ნანა ძაგნიძე 1:0, ლელა ჯავახიშვილი — ეიშა კარავადე 0.5:0.5, რუთ რადმინი — ბელა ხოტენაშვილი 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი — სუბარამან ვაიალაქშმი 1:0), აშშ — უკრაინა 1.5:2,5, პოლონეთი — აზერბაიჯანი 3.5:0.5, ეგვიპტე — ვიეტნამი 0:4, რუსეთი — ჩინეთი 3:1.

II ტური. საქართველო-პოლონეთი 2:2 (ნანა ძაგნიძე-მონიკა სოჩკო 1:0, იოლანტა ზავადსკა-ბელა ხოტენაშვილი 0:1, ნინო ბაციაშვილი — კლაუდია კულონი 0:1, იოანა მაიდანი — სალომე მელია 1:0), უკრაინა — ჩინეთი 2:2, ვიეტნამი — რუსეთი 1:3, აზერბაიჯანი — ეგვიპტე 4:0, აშშ — ინდოეთი 1.5:2.5.

ვაჟთა ორი სასტარტო ტურის შედეგები ასეთია:

I ტური. ჩინეთი — ბელარუსი 3.5:0.5, ინდოეთი — პოლონეთი 1.5:2.5, აშშ— ნორვეგია 2.5:1.5, ეგვიპტე — რუსეთი 3.5:0.5, თურქეთი — უკრაინა 2:2.

II ტური. ბელარუსი — უკრაინა 2:2, რუსეთი — თურქეთი 2:2, ნორვეგია — ეგვიპტე 2.5:1.5, პოლონეთი — აშშ 2.5:1.5, ჩინეთი — ინდოეთი 2.5:1.5.

ჩემპიონატი 26 ივნისს დასრულდება.

ლეძსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

„თბილისის თასმა“ იაპონიაში ამოყვინთა

„ოლიმპიკის“ აუზში დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასზე“. პირველობას ოთხი გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს — საქართველო, იაპონია, ყაზახეთი და რუმინეთი. შეჯიბრების პირველ ტურში ამომავალი მზის ქვეყნის წყალბურთელებმა კარპატელებს აჯობეს 12:10 (4:1, 1:3, 3:3, 4:3), ხილო საქართველოს ნაკრებმა ყაზახეთის გუნდს მინიმალური ანგარიშით სძლია — 10:9 (1:3, 3:1, 5:2, 1:3). პირველი პერიოდი აზიელებმა მოიგეს — 3:1. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში მსგავსი ანგარიშით წარმატება მასპინძლებს ხვდათ. მესამე პერიოდში იოვან პოპოვიჩის შეგირდები სამი ბურთით დაწინაურდნენ. მართალია, მატჩის ბოლოს ყაზახებმა გაიბრძოლეს, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ.

მეორე ტურში საინტერესო გამოდგა საქართველოსა და რუმინეთის ორთაბრძოლა. მასპინძლებს აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰყავდათ დამარცხებული სტუმრები. გამარჯვების წყურვილმოჭარბებულმა ჩვენმა ბიჭებმა ამჯერადაც თავდადებით იბრძოლეს — ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ მიზნის მისაღწევად, რაც დაუფასდათ კიდეც — მეტოქე 13:10 (4:3, 3:2, 3:2, 3:3) დაჯაბნეს. იმავე დღეს ყაზახებმა 8:4 (3:1, 2:0, 1:2, 2:1) სძლიეს იაპონელებს..

ბოლო ტურში რუმინელები და ყაზახები დაზავდნენ — 9:9 (4:3, 2:1, 1:2, 2:3). მთავარი პრიზისთვის გადამწყვეტ პაექრობაში იაპონელებმა 13:8 (2:3, 3:2, 4:2, 4:1) დაამარცხეს საქართველოს ნაკრები და „თბილისის თასიც“ მოიპოვეს.

საბოლოო შედეგები: 1. იაპონია — 6 (29:26), 2. საქართველო — 6 (31:32), 3. ყაზახეთი — 4 (26:23), 4. რუმინეთი — 1 (29:34).

გივი გაგუა



◎ ფეხბურთი

აქეთურ - იქითური

საქართველოს XXIX ჩემპიონატი. ერთიანი ლიგის XVI ტური. „საბურთალო“ — „დინამო“ 0:5, „ტორპედო“ — „ბათუმი“ 1:0, „ლოკომოტივი“ — „სამტრედია“ 0:1, „კოლხეთი“ — „ჩიხურა“ 1:3, „დილა“ — „შუქურა“ 4:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 40, „ტორპედო“ — 37, „სამტრედია“ — 30, „ჩიხურა“ — 26, „ლოკომოტივი“ — 24, „დილა“, „საბურთალო“ — 22-22, „ბათუმი“, „კოლხეთი“ — 16-16, „შუქურა“ — 7 ქულა.

ბომბარდირი: სიხარულიძე („ლოკომოტივი“) — 13 გოლი.

შემდეგი ტური: „ჩიხურა“ — „ლოკომოტივი“, „სამტრედია“ — „დილა“ (დღეს), „შუქურა“ — „საბურთალო“, „ბათუმი“ — „კოლხეთი“, „დინამო“ — „ტორპედო“ (ხვალ, 21 საათზე).

* * *

კონფედერაციათა თასის X გათამაშება. რუსეთი. I ტური.

„ა“ ჯგუფი. რუსეთი — ახალი ზელანდია 2:0, პორტუგალია — მექსიკა 2:2.

„ბ“ ჯგუფი. ჩილე — კამერუნი 2:0.

ჩვენს სამეზობლოში დაწყებულ ტურნირს მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ყაზანისა და სოჭის ის სტადიონები მასპინძლობს, სადაც გაისად მუნდიალის მატჩები გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენჯერმე საქმეში ვიდეორეფერი ჩაერია, რამაც გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც შეხვედრების სამართლიანი შედეგები. ასე რომ, სიახლემ ჯერჯერობით გაამართლა.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ლიტვა - სრული შემადგენლობით



ევრობასკეტ 2017-ზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის, ლიტვის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დაინიუს ადომაიტისმა წინასწარი 18-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

ბალტიისპირელებს ევრობასკეტ 2017-ზე გუნდის ლიდერები ეყოლებიან — „ტორონტოს“ ცენტრი იონას ვალანჩუნასი, „ნიუ ორლეანის“ ფორვარდი დონატას მოტეიუნასი და „ოკლაჰომას“ ფორვარდი დომანტას საბონისი.

მცველები: მარტას კალნიეტისი, ლუკას ლეკიავიჩუსი, ადას იუშკევიჩუსი, მარტინას გეციავიჩუსი, მარიუს გრიგონისი, მინდაუგას ჟირგუნასი;

ფორვარდები: მინდაუგას კუზმინსკასი, არტურას მილაკნისი, იონას მაჩიულისი, ედგარას ულანოვასი, დონატას მოტეიუნასი, დომანტას საბონისი, დევიდას გაილუსი, როკას გიდრაიტისი;

ცენტრები: იონას ვალანჩუნასი, არტურას გუდაიტისი, ევალდას კაირისი, მარტინას საჟიუსი.

ევრობასკეტ 2017-ზე საქართველოს ნაკრები ბ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მასპინძელ ისრაელს, უკრაინას, ლიტვას, იტალიასა და გერმანიას დაუპრისპირდება. „ჯვაროსანთა“ პირველი მეტოქე სწორედ ლიტვის ნაკრებია. მატჩი 31 აგვისტოს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ნინა აგდალი გათხოვებაზე ოცნებობს

**„ნინა, ნინა, ჩემო ნინა, გათხოვება ხომ არ გინდა?
გათხოვება რომ მინდოდეს, შენი კითხვა მე რად მინდა?!“**

ადამიანმა რომ არ იცოდეს, ეს ლექსი ტიციან ტაბიძეს რამ დააწერინა, ნამდვილად იფიქრებს, რომ დანიელი მოდელის — ნინა აგდალისადმია მიძღვნილი, რომელიც გათხოვებაზე ისეა თვალებდაჭყეტილი, ოღონდ საწადელს მიაღწიოს და ნებისმიერს შეიყვარებს.

ამას წინათ ნინა აგდალმა დაიჩივლა, ჩემი გაქანებისა და ცნობადობის ყველა ლამაზმანი მოდელი გათხოვილია და გარშემო ქმრები დასტრიალებენ და მე რა ფეტვი მირევია ასეთი, აქამდე რომ ვერ მივაღწიე საწადელსო. ნინამ ისიც თქვა, ერთი კარგი სპორტსმენი ბიჭი ჩამაგდებინა ხელში და მე აგდალის ქალი არ ვიყო, თუ ახალ წვრთნის პროგრამაში არ ჩავრთო და სიცხიანივით სულ ოფლი არ ვადინოო. რომ მიუშვათ — გამკეთებელია!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დროის მანძანა

შთამომავლის პორტრეტი

როგორი იქნება ადამიანი რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ? ეს, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, მაგრამ პროგნოზები ამის თაობაზე საკმაოდ განსხვავებულია.

„ფიზიკურად სუსტი, ტანმწირი, თითქმის უკბილო, უზარმაზარი სფეროსებრი მელოტთავა არსება, რომლის ორ ქვედა კიდურზე ოთხი, ორ ზედა კიდურზე კი სამი თითი აქვს“, — ასეთად ხატავს ჩვენს შორეულ წინაპარს ზოგიერთი ანთროპოლოგი, მაგრამ არსებობს სრულიად სხვა აზრიც, რომელსაც უმეტესობა მკვლევარი იზიარებს: ათეულობით მილიონი წლის შემდეგაც კი ადამიანის იერი არ შეიცვლება — ჩვენი ევოლუცია დასრულებულია.

ანთროპოლოგთა კომპიუტერული გამოთვლებით ირკვევა, რომ თუ ახლა ადამიანის ქალატვინის მოცულობა 1400-1500 კუბური სანტიმეტრია, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ რუხი ნივთიერების მოცულობამ 3 ლიტრზე მეტს უნდა მიაღწიოს.

ამავე პრინციპით განიხილავენ მეცნიერები სხვა ორგანოებსაც. საჭმლის მომზადების თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჩვენი ყბები დიდად გააზარმაცა: ბოლო 7 ათასი წლის მანძილზე კბილები ყოველ ათასწლეულში, საშუალოდ, ერთი პროცენტით პატარავდებოდნენ. ამდენად, მეცნიერთა ვარაუდით, შორს არაა ის დრო, როცა 32-ის ნაცვლად ადამიანს 28 კბილი ექნება, რაც სიბრძნის კბილების დაკარგვის ხარჯზე მოხდება. შემდგომ კი მცირე ფუძე კბილებისა და ლატერალური ეშვების საჭიროებაც გაქრება.

ასევე ცნობილია, რომ ოდესღაც გრძელი კუდისგან თანამედროვე ადამიანს მხოლოდ კუდუსუნის ნახევრადრედუცირებული 4 მალაღა შემორჩა. ამდენად, ვარაუდობენ, რომ კუდუსუნი მომავალშიც შემცირებას განაგრძობს და ბოლოს მთლიანად გაქრება. ასევე შემცირების ტენდენცია აქვს ხერხემალსაც, მოიკლებს ნეკნების ოდენობაც.

ამდენად, მდიდარი ფანტაზიის მქონე მეცნიერებს ყურს თუ დავუგდებთ, ამ პიკასოს ნახატების პერსონაჟების მსგავს მომავლის ადამიანს თეძოები თავის ქალასთან იმდენად ახლოს ექნება მისული, რომ ბეჭები უშუალოდ თეძოების ძვლებს დაეყრდნობა. მომავლის ადამიანს არც მძიმე ფიზიკური შრომა მოუწევს, ამდენად სუსტ და მოკლე ხელებზე სამი თხელი და მოხდენილი თითიც



მისთვის სავსებით საკმარისი ექნება.

თუმცა ისიცაა, რომ ბევრი მეცნიერი კოლეგების ამ იდეებს არ იზიარებს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა არსებითი ცვლილება ადამიანის ჯიშმა ბოლო 7-8 მილიონი წლის მანძილზე უკვე გაიარა. ყველაზე დიდი ცვლილებები ადამიანის ტვინში მოხდა, რომელიც აღარ ჰგავს მის წინაპართა — ავსტრალოპიტეკის, პიტეკანტროპისა და ნეანდერტალელის ტვინს არც სიდიდით, არც აგებულებით, მაგრამ მოძრაობის მომსახურე ანატომიურ კომპლექსში არანაირი ცვლილებები არ მომხდარა. მილიონობით წლის მანძილზე ადამიანმა სიმაღლეში საკმაოდ მოიმატა: თანამედროვე ეთიოპიის ტერიტორიაზე ოდესღაც მცხოვრები ავსტრალოპითეკების სიმაღლე მეტრს ძლივს აღემატებოდა, წონა კი 19-20 კილოგრამი იყო, მაგრამ შემდგომ, როცა შრომითმა ოპერაციებმა ძალა, დიდი ტანი და კარგი ბიომექანიკა მოითხოვა, იგი სიმაღლეშიც გაიზარდა და წონაშიც მოიმატა.

მაგრამ, რამდენად შეიძლება ცვლილებათა საყოველთაო ტენდენციაზე ლაპარაკი? ჩვენი ანატომიური აგებულების ადამიანის გაჩენის დროიდან მოყოლებული, დედამიწის არც ერთ ნაწილში, არც ერთ გეოგრაფიულ რეგიონში, არც ერთ თანამედროვე პოპულაციაში მეცნიერები ძირითადი ევოლუციური ტენდენციების გაგრძელების ვერანაირ ნიშანს ვერ ხედავენ. ამდენად, დასკვნა ასეთია: ჩვენი შორეული შთამომავლის პორტრეტი დღევანდელ ადამიანს ემსგავსება.

ოთარ ტურაბელიძე

ოლიმპიადაში გამარჯვებულებისთვის

სამკვირიანი ბანაკი ერთ კვირამდე შემცირდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავას გადაწყვეტილებით, ოლიმპიადაში გამარჯვებულებისთვის სამკვირიანი ბანაკი ერთ კვირამდე შემცირდა.

როგორც ჯეჯელავამ აღნიშნა, ბანაკებში მონაწილეობა არ უნდა უკავშირდებოდეს ოლიმპიადაში მონაწილეობას მხოლოდ და რაიმე აკადემიურ მიღწევებს.

„საზაფხულო და ზამთრის ბანაკები სოციალური უნარების განვითარებას ემსახურება და იმის თქმა, რომ მხოლოდ კარგ მოსწავლეებს სჭირდებათ სოციალური უნარების განვითარება, უსაფუძვლოა. ჩვენი აქცენტი ზაფხულისა და ზამთრის ბანაკების შემთხვევაში იქნება მცირე სკოლების მოსწავლეებზე, რომელთა ოჯახებს არ აქვთ საშუალება. ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ისინი. რაც შეეხება ოლიმპიადის გამარჯვებულებს, ჩვენ გვაქვს სხვა ინსტრუმენტები, რომ ეს ხალხი დავაფინანსოთ და ისინი ბევრ სიკეთეს იღებენ მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებებზე“, — განაცხადა ჯეჯელავამ.

შსს 100-ქულიანი სისტემის ამოქმედებას ივლისიდან გეგმავს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, საინფორმაციო ბუკლეტები მოამზადა.

მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, შსს-ს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქალაქებსა და რეგიონებში, მძღოლებსა და ქვეითებს საინფორმაციო ფლაერებს ურიგებენ.

ბუკლეტებში საქართველოში მართვის მოწმობისათვის მინიჭებულ ქულათა სისტემასა და უკონტაქტო პატრულირებაზე, ასევე, ბავშვთა ტრანსპორტით გადაყვანის უსაფრთხოების წესების გამკაცრებასა და სხვა საკანონმდებლო სიახლეების შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული.

საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში 2017 წლის 1 ივლისიდან შევა.

ზაჰესის ხიდის მისასვლელი გზა ჩაინგრა

ინფორმაციას ამის შესახებ „სტუდია მონიტორი“ ავრცელებს. ხიდის მშენებლობა 2 თვის წინ დასრულდა და ის 4 მილიონი ლარი დაჯდა. სტუდია მონიტორმა აპრილში მოამზადა სიუჟეტი, რომ მერიამ ზაჰესის ხიდი ტექნიკური შემოწმების გარეშე გახსნა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 11 აგვისტოს, 4 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის №189) გაიმართება სოფელ პატარა ფოთის ასფალტბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გაცნობა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

• საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;

• შპს „ჯიარჯი“-ს ოფისში- ქ. თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №24, ტელ: 2 433 033;

• ქ. ხობი, ცოტნე დადიანის №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა - 414 222193; 414 222543;

• შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17°. ტელ: 598 975 415.

საქმიანობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს, გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შეუძლიათ, 45 დღის ვადაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

შპს „ჯიარჯი“-ს ადმინისტრაცია.

„საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის“ წევრების საყურადღებოდ:

2017 წლის 23 ივნისს, 17⁰⁰ საათზე შპს „კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ საკონფერენციო დარბაზში (მისამართი: ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა №13) ჩატარდება „საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის“ რიგითი ყრილობა. **დღის წესრიგი:**

1. ასოციაციის გამგეობის არჩევა;
2. ასოციაციის პრეზიდენტის არჩევა.

სასწრაფოდ იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 56 81 86; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

პოეტი, რომელიც მრწამს არ ღალატობს



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ მინიატიურული წიგნების ერთგულ მკითხველს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა – გამოვიდა **თამაზ ჭილაძის** ლექსებისა და წერილების წიგნი. მთავარი რედაქტორი გახლავთ ქალბატონი **ლია ნადარეიშვილი,** გაფორმებულია **გიორგი წერეთლის** მშვენიერი ნახატებით.

„იმ ერთეულთა შორის, ვისთვისაც არასოდეს დამდგარა ვირტუალური სიმულაციებით „ჟონგლირებისა“ თუ თვალთმაქცობის ლინგვისტური მანიპულაციების ჟამი, თამაზ ჭილაძეცაა... იშვიათია პოეტი, რომელსაც ასეთი სიღრმითა და ინტენსივობით აღექვა წარსულისა თუ თანამედროვეობის კაეშანი, აისებისა და დაისების, აღორძინებისა და დეკადანსის სიხარული და მწუხრი“... – ეს ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი ბატონ გურამ ბენაშვილი გახლავთ, რომლის ვრცელი წინასიტყვაობაც ღრმა-ფილოსოფიურად და შინაარსიანად, მიუკერძოებლად წარუდგენს მკითხველს დიდ პოეტს, მწერალსა და დრამატურგს. მართლაც თამაზ ჭილაძეს ქართველი მკითხველისთვის წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ ბატონი გურამის თვალით დანახული პოეტის შემოქმედება ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის გულშიჩამწვდომია.

წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ მინიატიურული გამოცემის ფორმატისაა, ვრცლადაა წარმოდგენილი პოეტის ლექსები 1954 წლიდან დღემდის – ბევრისთვის გათავისებული, კარგად ნაცნობი, ბევრისთვის კი სიამოვნებისმომგვრელი მოულოდნელობა პოეტის პოეზიის ახალი ნიმუშებით დატკბობისა.

გარდა ლექსებისა, წიგნში ორი ლიტერატურული პორტრეტიცაა. **„ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას თუ სხვათა ლიტერატურული „პორტრეტები“, პერმენევტიკული ინტერპრეტაციის ანუ მწერლის პიროვნული – შემოქმედებითი ხატის სრულყოფილი წარმოჩენის თვალსაჩინო ილუსტრაციებად შეიმეცნებიან“...** (გ. ბენაშვილი). **„მარტოობა სულისა“ და „წინასწარმეტყველი“ სწორედ ნიკოლზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება.**

ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემის ხელმძღვანელი გახლავთ ბატონი შოთა კობიაშვილი.

მამუკა ვაშაკიძე

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინტერნეტიდან

ვანდალური ფაქტები ბათუმში

ბათუმის ქუჩებში ვანდალური ფაქტი მოხდა. როგორც ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ბოლო 6 თვის განმავლობაში, დამწვარია 60 სანაგვე ურნა და ათამდე მიწისქვეშა კონტეინერი.

„დაზიანებული და დამწვარი ურნების შედეგად მიყენებული ზარალი 130 ათას ლარს აღემატება. ბათუმის მერია მოუწოდებს მოსახლეობას, თავი შეიკავონ სამშენებლო ნარჩენებისა და ცეცხლმოკიდებული ნივთების სანაგვე ურნებში ჩაყრისაგან“, – აცხადებენ მერიაში.

ვარკეთილში 41 წლის მამაკაცი მოკლეს

ვარკეთილის მე-3 მ/რ 41 წლის კაცი ცივი იარაღით მოკლეს.

შემთხვევა კვირა ღამით მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფაქტს ადასტურებენ. გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ავტომობილი ველოსიპედისტს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე. ბე-ემვეს მარკის ავტომობილი ველოსიპედით მოძრავ პირს დაეჯახა. დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. შსს-მ გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

ქუთაისში საინკასაციო მანქანა გაიჭედა

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ავტომობილი უკვე ნაპოვნია. უწყებაში თავდასხმის დეტალებზე არ საუბრობენ და ამბობენ, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

არსებული ინფორმაციით, საინკასაციო მანქანით ფეიბოქსის აპარატიდან ამოღებული თანხა გადაჰქონდათ.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

◎ ეს საინტერესოა!

„თუკი რომ დაგაკლდა ალერსი...“

მეგობრობას, თურმე, ის დადებითი მხარეც ჰქონია, რომ ის... გვათბობს.

მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ ახლობელი ადამიანების მოახლოებასთან ერთად მოხალისეთა სხეულის ტემპერატურა 0,2 გრადუსით იმატებდა.

თუკი სიახლოვეს ისეთი ადამიანები იმყოფებოდნენ, ვისთანაც ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებს არცთუ კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, გამოსაცდელები სიცივეს გრძნობდნენ.

ესაა ვეგეტატიური ნერვული სისტემის რეაქცია: მისი მუშაობა დიდწილად ემოციებთანაა განპირობებული.

სისხლით ნათესაობა

ყოველწლიურად ამერიკული შტატის ოკლაჰომის ქალაქ უოლტერსში პაუ-პაუს დღესასწაული იმართება. სამი დღის განმავლობაში კომანჩის ტომის ინდიელები ტრადიციულ ცეკვებსა და სიმღერებს ასრულებენ.

აქვე ირჩევენ ტომის სულიერ ლიდერს და ყველაზე ლამაზ ქალიშვილს – კომანჩის უფლისწულს. ქალის მთავარ ღირსებად გრძელი თმა და ტრადიციული სამოსელის კერვაა. ტანსაცმლის მოსართავი ტრადიციულია: სამკუთხედი შიგ გადაჯვარიდინებული ხაზებით საცხოვრისს აღნიშნავს, გაჭიმული რომბი – ქარს. მოკასინებს სამკუთხედებით ქარგავენ – ეს ნახჭი სირთულეთა და წინააღმდეგობათა დაძლევას ნიშნავს.

კომანჩები ამერიკის დიდ ტრამალთა მკვიდრი მოსახლეები არიან, ამჟამად ტომი 15 ათას კაცს ითვლის, რომელთაგან ნახევარი ოკლაჰომაში, მამა-პაპათა ძველ მიწებზე სახლობს. ფედერალურ დონეზე ისინი კომანჩების ერად არიან აღიარებულნი, რის წყალობით აქვთ თავიანთი შტაბ-ბინა, უმაღლესი განათლების საკუთარი დეპარტამენტი და ეროვნული კოლეჯი. გარდა ამისა მათ სამანქანო ნომრებზე საკუთარი ნიშნის დასმის უფლება აქვთ. ტომს ათეულობით თამბაქოს მაღაზია და ოთხი კაზინო ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ კომანჩის უფლისწულის წოდების მიღება მხოლოდ იმ ლამაზმანს შეუძლია, რომლის თუნდაც ერთი წინაპარი (სისხლით ნათესაობით ერთი მერვედი) კომანჩი იყო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4106; ევრო - 2.6941;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0783;
100 რუბლი - 4.1834; თურქული ლირა - 0.6869;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4295;
1000 სომხური დრამი - 5.0012.

ამინდი 20 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13 დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +23
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge